

ბარეჯოს მაცნე

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ბაზეთი №15-16(245-246) 2021 წ. 1-31 აგვისტო წასი 2 ლარო

საქართველოს უწყებათაშორისი საბჭოს სხდომა შედეგად



საქართველოში, ისევე, როგორც მთელს მსოფლიოში, ეპიდემიოლოგიური ვითარების გაუარესების ტენდენციის ანალიზის საფუძველზე, უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ შეზღუდვების დაწესების გადაწყვეტილება მიიღო. სხდომაზე, რომელიც **პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის** ხელმძღვანელობით 12 აგვისტოს მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა, აღინიშნა, რომ ისევე, როგორც მთელს მსოფლიოში, საქართველოშიც ეპიდემიოლოგიური ვითარება რთულია, ძირითადად ახალი შტამების (დელტა შტამი) ფართო ცირკულაციის გამო. ეპიდემიოლოგიური მანევრების და ტენდენციების ანალიზის საფუძველზე, საკოორდინაციო საბჭომ, აგვისტოში იმუნიზაციის პროცესის ინტენსიფიცირების მიუხედავად, საჭიროდ მიიჩნია ეწ არაფარმაცევტული ინტერვენციების განხორციელება.

- შეიზღუდება მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობა. შეზღუდვა არ ეხება საქალაქთა შორისო ტრანსპორტს;
- სრულად იზღუდება ფესტივალები, გასართობი ღონისძიებები, კონცერტები და სპორტული შეჯიბრებები;
- იზღუდება ბავშვთა გასართობი ცენტრების მუშაობა;

საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, 14 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე, 3 კვირის განმავლობაში, იმოქმედებს შემდეგი შეზღუდვები:



- კვების ობიექტების მუშაობა, ნაცვლად ღამის 00:00 საათისა, დასაშვებია იქნება 23:00 საათამდე;
- საჯარო უწყებებს ეძლევათ დაფარვა, მაქსიმალურად გადაიყვანონ თანამშრომლები მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე და ანალოგიური რეკომენდაციით მიმართავენ საბჭო კერძო დამსაქმებლებს;
- ვაქცინაციის მაქსიმალურად გაფართოებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, აცრების პროცესში ჩაერთვებიან სამხედრო ექიმებისგან დაკომპლექტებული ბრიგადები; მუნიციპალური ტრანსპორტის შეზღუდვის პირობებში, სახელმწიფო უზრუნველყოფს ძირითად ამცრელ დაწესებულებებთან მოსახლეობის რეგულარულ ტრანსპორტირებას;
- ჯანდაცვის უწყება განაგრძობს მუშაობას დამატებითი საწოლების მობილიზების მიმართულებით;
- მაქსიმალურად გამკაცრდება კონტროლი მოქმედი რეგულაციების აღსრულებაზე, მათ შორის ისეთი სოციალური ღონისძიებების გამართვაზე, როგორცაა ქორწილი, ქედეხი და ა.შ. მსგავსი ღონისძიებების მასპინძლობისთვის, ობიექტები ჯარიმდებიან 10 ათასი ლარით, ხოლო განმეორებით დარღვევისას - ექვემდებარებიან დალუქვას;
- ამასთან, საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა მიმართა რეკომენდაციით, სექტემბრიდან, კვების ობიექტებში, სპა სალონებში, ფიტნესცენტრებსა და მსგავსი ტიპის დაწესებულებებში, პირთა დაშვება შესაძლებელი გახდება ერთი აცრის ან ვაქცინაციის სრული კურსის, ბოლო 72 საათში ჩატარებული PCR ან ბოლო 24 საათში ჩატარებული სწრაფი ანტიგენის ტესტის უარყოფითი პასუხის საფუძველზე.

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი



14 აგვისტოს პარტია „ქართულმა ოცნებამ“ საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატად წარადგინა ავთანდილ გულიკაშვილის კანდიდატურა.

მასობრივი დეკლარაციის კანდიდატები ცნობილია

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში „ქართული ოცნების“ მასობრივი დეკლარაციის კანდიდატები არიან:

ვანო ანუაშვილი
ირაკლი რუაძე
დავით არაბული
ვასილი მამუჩიშვილი
ვეფხო უსტიაშვილი
გელა კონიაშვილი

ივანე ბეჟიაშვილი
არჩილ ნემსიაშვილი
ვალერი ხუნაშვილი
ნიკა ნაცვლიშვილი
ალექსი იოსელიანი
აია ზ ბაიჩაშვილი
მეჭლიან კულიევი



მუნიციპალური ბიურო

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის

თანაპირი

10 აგვისტო, 2021 წელი



10 აგვისტოს ჩატარდა მუნიციპალიტეტის მერიის სამშაბათის ტრადიციული თათბირი, რომელსაც მუნიციპალიტეტის სოფლებში მერის წარმომადგენლები და მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლებთან მუშაობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი **ზანიტო ზანოზიშვილი** ესწრებოდნენ. თათბირს **მუნიციპალიტეტის მერის I მოადგილე ალექსი ბილაშვილი** უძღვებოდა.

თათბირის დასაწყისში იგი დაინტერესდა სოფლებში „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით მიმდინარე პროექტების განხორციელების საკითხით. როგორც გამოკითხვით გაირკვა, ეს პროგრამა წარმატებით განხორციელდა მუნიციპალიტეტის მთელ რიგ სოფლებში, გარდა კოჭანის თემისა, სადაც თათბირის მომენტისათვის დაიწყო პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელება.

ამ საკითხის განხილვის შემდეგ ალ. ბილაშვილი გამოკითხა და დაწვრილებით შეეხო მუნიციპალიტეტში სხვა პროექტებით და დაფინანსებით მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს. თათბირზე თავიანთ სამოქმედო არეალში მიმდინარე სამუშაოების შესრულებაში არსებულ ვითარებაზე ისაუბრეს თოხლიაურის, ხაშის, ნინოწმინდის, ვერხვიანის, მანაის, წყაროსთავის, კაკაბეთის, უდაბნოს, პატარძეულის, ორივე ჩაილურის ტერიტორიულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებმა. ამ და სხვა პრობლემების გამოსასწორებლად თათბირზე დაისახა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად და ხარისხიანად შესრულებას.

ბ. ლაპახიშვილი

ერთად მოისმინეს მოსახლეობის პრობლემები



საპარტიზო პარლამენტის წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი საგარეჯოს, გურჯაანის, დედოფლისწყაროს და სიღნაღის მუნიციპალიტეტებიდან ზანიტო ზანოზიშვილი პარტიიდან **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატთან აშთანდილ ბუღიკაშვილი** ერთად, სოფლების - გომბორის, კოჭანის, უჯარმის, ხაშის, პატარძეულის, ნინოწმინდისა და წყაროსთავის მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრები კვლავაც გრძელდება.

შეხვედრისას, ყველა სოფელში მთავარ გამოწვევად სასმელი წყლის პრობლემა დასახელდა. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად ქმედითი ნაბიჯები უკვე გადადგმულია და საგარეჯოს 7 სოფელში 24 საათიანი წყალმომარაგების მიზნით სამუშაოებზე 51 მლნ ლარი იხარჯება.

მოსახლეობასთან საუბრისას, წყალმომარაგების გარდა, სხვა ინფრასტრუქტურული პრობლემები, რომელიც დახრამული გზების რეაბილიტაციასა და სანიღვრე არხების მოწყობას ეხება და ამასთან, ტყის ფონდის დაცვის საკითხიც დასახელდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის შიდა საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, მიუხედავად პანდემიისა, უწყვეტად მიმდინარეობს.

ვამსახურები საქართველოს! საბაზაფხულო გაწვევა დამთავრდა, როგორია შედეგები?

ნახმარ თვეზე მეტი გვაშორებს მკათათვის გასვლიდან. მის ამოწურვასთან ერთად, ამოწურა 2021 წლის წვევამდელთა საბაზაფხულო გაწვევის ვადები, რომელიც ტრადიციულად თებერვლის დასაწყისიდან ივლისის ჩათვლით გრძელდება ხოლმე. ერთი სიტყვით, წვევამდელთა საბაზაფხულო გაწვევის დამთავრებიდან საკმაოდ დრო გავიდა. ამ 6 თვის მანძილზე ქვეყნის ძალგანი სტრუქტურები რამდენმა ახალგზრდამ შეავსო და ჩაიკვა სამშობლოს დამცველის უნიფორმა, მათ შორის ჩვენი მუნიციპალიტეტის ქართველმა და ეთნიკურად აზერბაიჯანელმა წვევამდელმა. სწორედ ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება ჩვენი გახეთის ფურცლებიდან **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი პობა ცხ-ზარიაშვილი**.



– ბნო კობა, რამდენი წვევამდელი გყავდათ გამოძახებული ამ საბაზაფხულო გაწვევაზე გამწვევ კომისიაში და როგორია საბოლოო შედეგები?

– 2021 წლის საბაზაფხულო გაწვევისთვის გამწვევ კომისიაზე გამოძახებული გყავდა 488 წვევამდელი, საიდანაც გამოცხადდა და მიღებულია გადაწყვეტილება 479 წვევამდელზე.

– და ამ რაოდენობიდან რამდენი ჩვენი ახალგზრდა თანამოქალაქე შეუდგა ქვეყნის ძალგანი სტრუქტურებში სამშობლოს წინაშე თავისი მხედრული მოვალეობის შესრულებას?

– სულ სხვადასხვა ძალგანი სტრუქტურებში ჩარიცხვაზე გადაწყვეტილება მიღებულია 98 წვევამდელზე, რომელთა შორის არიან როგორც ქართველი, ისე მუნიციპალიტეტის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები – აზერბაიჯანელი ახალგზრდები.

– აქ ალბათ საგულისხმოა ისიც, რომ ქვეყნის კანონმდებლობით დაწესებულია მთელი რიგი შეღავათები სამხედრო საგადაცემო სამსახურიდან წვევამდელთა გათავისუფლების თუ გადავადების შესახებ, არა?

– ეს შეღავათები, სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან გათავისუფლებისა თუ გადავადების შესახებ განსაზღვრულია შესაბამისი კანონმდებლობის 29-ე და 30-ე მუხლებით. 30-ე მუხლით გადავადება სამხედრო სამსახურიდან ეძლევათ ჯანმრთელობის გამო (1 წლით), სისხლის სამართლის სამართლებრივი დევნის ქვეშ მყოფ პირებს, სტუდენტებს, მოსწავლეებს, ერთ, ორ და მრავალშვილიან პირებს. ასევე, თუ მათ კმაყოფილება არიან ობოლი ან მცირეწლოვანი და-ძმა, არის დედისერთა, მუშაობს ექიმად ან მასწავლებლად სოფელში და ა.შ.

– კანონის 29-ე მუხლი სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ თუ შეეხო ამ საბაზაფხულო გაწვევაზე ვინმეს?

– ამ მუხლის შეღავათით ისარგებლა და მიღებულია გადაწყვეტილება 8 პირზე. **– გადავადების შესახებ შეღავათებით ყველაზე მეტად წვევამდელთა რა კატეგორიამ ისარგებლა?**

– ესენი არიან სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები (128 კაცი), ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 20 წლამდე ასაკის მოსწავლეები (43), ჰყავს ერთი შვილი (შვილის შექმნიდან 3 წლის ვადით – 32), ჰყავს 2 ან მეტი შვილი (10). გადავადების შესახებ კანონმდებლობით შეღავათებით მოსარგებლეთა შორის არიან მღვდელმსახურები (36), დედისერთა არის 14, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო – 9, შეზღუდულად ვარგისად ცნობილი იქნა 41.

– კანონმდებლობა სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან გადავადების მოსაკრებლის – 2000 ლარის გადახდასაც ითვალისწინებს, თუ ისარგებლა ვინმემ ამ შეღავათით?

– ასეთი 5 პირი გყავდა.

– სოფლის მასწავლებლები ან სოფლის ექიმები თუ მოხდნენ ამ შეღავათებში?

– არა, ასეთები არ გვეყოლია.

– კანონი სხვა შეღავათებთან ერთად წვევამდელთა ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევასაც ითვალისწინებს, თუ გაიწვიეთ ვინმე ასეთ სამსახურში?

– ასეთები სულ 2 წვევამდელი გყავდა. აქვე გეტყვი, რომ კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე რეზერვში ჩაირიცხა 129 პირი.

– სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევას მუდამ ახლავს თან ამ სამსახურისათვის თავისამრიდებელ პირთა პრობლემა, როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ?

– სამწუხაროდ, ჩვენ მოგვიწია სასამართლოსთვის ასეთი 67 პირის შესახებ მასალების გადაცემა, სადაც იმედია, მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილებები, რაც სამაგალითო გახდება სხვებისათვის.

ესაუბრა ბიჭო ლაპახიშვილი



სოფლის მიწის მფლობელებს

რწმუნის სეზონი გვალვებთან ერთმანეთსა და ერთმანეთს ბრძოლაში აზიის განვითარების ბანკი სარწმუნო სისხლს საკაპილიტაციო სამუშაოებში ერთვება



მიმდინარე წლის ზაფხული ცვალებადი კლიმატით აღინიშნება. სხვა წლებსაგან განსხვავებით დიდ სიცხეებს ზოგჯერ ნალექიანი ამინდებიც ენაცვლება, თუმცა, ეს ყველაფერი ზღვაში წვეთია, იმ სიცხეებსა და გვალვებთან შედარებით, რასაც ადგილი ჰქონდა თუ აქვს ჩვენს ყოველდღიურებაში. აქედან გამომდინარე, ძნელია არაა იმის წარმოდგენა, თუ რა დაემართებოდა ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის მშრომელთა მიერ მოყვანილ წყლის მოსავალს და საერთოდ, სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, რომ არა ქვემო სამეორის საირიგაციო სისტემით მოწოდებული იყოს სარწყავი წყალი, რომლის ნაკლებობა, ღვთის წყალობით წელს არ შეინიშნება.

გასული საუკუნის 60-იან წლებში აშენებული და გვალვებთან ბრძოლაში 60 წელზე მეტი ხნის მანძილზე ნაცადი ჩვენი გლეხკაცობისათვის საიმედო, მეოხი და პარტნიორი ქსელი დღესაც უდალატოდ ემსახურება ჩვენი მუნიციპალიტეტისა თუ მეზობელი – გურჯაანის მუნიციპალიტეტის გარკვეული ტერიტორიების გასარწყავების საქმეს. არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ ამ კომუნისტური ხანის გადმოხანში „ლომის წილი“ მიუძღვის იმ წარმატებებში, რასაც ჩვენმა მინდვრის მშრომელებმა მიაღწიეს ამ ბოლო წლების განმავლობაში და მიაღწევენ მომავალში.

მაინც როგორია ამ სისტემისა და მისი მომსახურე „ქვემო სამეორის სარწყავი სისტემის სერვის ცენტრის“ წვლილი წლებგანდელი გვალვების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამის გასარკვევად ამ დღეებში ვეწვიეთ ამ სამსახურს, სადაც მისი უფროსის დროებით არყოფნის გამო ჩვენი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება სამსახურის მთავარ ინჟინერს დიმიტრი მკვიციანივს მოუხდა. ამ საკითხების გარკვევასთან ერთად მასთან საუბარში ამ სამსახურის საქმიანობაში ერთი დიდმნიშვნელოვანი სიახლის დაზუსტებაც შეეძლო, რაც ქვესათაურშიცაა გამოტანილი.

– ბატონო დიმიტრი, ჩვენი მუნიციპალიტეტი ისეთ გეოგრაფიულ არეალშია, რომ რაც უნდა ნალექიანი ამინდები იყოს, სარწყავი წყალი არასოდეს მოსჭარბდება, მით უმეტეს ამ ზაფხულს, როცა მოსული ნალექების მიუხედავად, სიცხის მანქანებელი პიკს უახლოვდება. როდისაა შეუძლებელი თქვენი სამსახური წყალმოსარგებლებებისათვის სარწყავი წყლის მიწოდებას?

– ამ საქმეს ჩვენი სამსახური მასობრივად 2 ივნისიდან შეუდგა, თუმცა მანამდეც ვახდენდით დაინტერესებული პირებისათვის სარწყავი წყლის მიწოდებას, მაგრამ არა ამ ოდენობით. ისე, რომ ორთვენახევარზე მეტია ივრისპირეთში მიმდინარეობს რწყვის კამპანია, როგორც ჩვენს მუნიციპალიტეტში, ისე მეზობელი კატრეთის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში. მაქსიმალურად ვცდილობთ დავაკმაყოფილოთ სარწყავი წყალზე ნებისმიერი წყალმოსარგებლის მოთხოვნა. რაც მთავარია, მოსული ნალექების წყალობით სარწყავი წყლის დეფიციტი ხიონის წყალსაცავში, საიდანაც ჩვენ ვმარაგდებით, არ შექმნილა და იგი ინტენსიურად მიწოდება წყალმოსარგებლებს, როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მაგისტრალური არხების მეშვეობით.

– ალბათ აღინიშნება თუ ორთვენახევარში რამდენი პექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული მორწყა ჩვენს მუნიციპალიტეტში?

– 17 აგვისტოს მდგომარეობით 2 ივნისიდან დაწყებული სერვის ცენტრში შემოსულია 2910 განაცხადი და მორწყულია 6300 პექტარი სხვადასხვა ერთწლიანი თუ მრავალწლიანი კულტურებით დაფარული მიწის ფართობი. აქედან, მრავალწლიანები მორწყულია 2500, სახნავ-სათესი – 2990, ბოსტნეულ-ბაღნეული კულტურები 810 ჰა-ზე. აქვე თუ გაითვალისწინებთ იმას, რომ ბოსტნეულ-ბაღნეულ კულტურებს 1 და 2 რწყვა არ ჰყოფნის და არც რწყვის ჯერადობა არის შეზღუდული, უნდა ითქვას, რომ სარწყავი წყალი გაცილებით მეტ ფართობებზე გვაქვს მიწოდებული.

– წყალზე გადასახადის თანხა ხომ არ შეცვლილა?

– არა, იგი კვლავ 75 ლარია და აქვე მინდა განვმარტო, რომ მისი გადახდის ვადები რეგისტრირებული ფართობებისათვის არის 1 ოქტომბრამდე, ხოლო არარეგისტრირებული მიწების გადასახადი წყალმოსარგებელს უნდა გადაიხადოს წინასწარ. ამ წესების დარღვევის შემთხვევაში თვითნებურად ფართობების რწყვა ითვლება სარწყავი წყლის დატაცებად და დამრღვევი პირის მიმართ იწერება სათანადო ჯარიმები.

– ამ რწყვის სეზონზე თუ მოვიწიეთ ასეთი სანქციების განხორციელება?


– კი, ასეთი 3 შემთხვევა გვქონდა 56,45 ჰა ფართობზე

– გავივით, რომ მსოფლიო ბანკის გარდა, სერვის ცენტრის მაგისტრალური არხების სარეაბილიტაციო სამუშაოებში უახლოვდებიან მომავალში აზიის განვითარების ბანკიც ჩაერთვება. თქვენ რას გეგმავთ აღნიშნულის შესახებ?

– აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლები უკვე შემოსულები არიან ჩვენთან და მალე ჩაერთვებიან მარცხენა მაგისტრალური სარეაბილიტაციო სამუშაოებში, კერძოდ, ბანკი გეგმავს სარეაბილიტაციო სამუშაოებს, როგორც მაგისტრალურ არხზე, ისე მის შიდასამეურნეო ქსელებში.

– როდემდე გეგმავს სერვის-ცენტრი რწყვის სეზონის გაგრძელებას?

– ამის დაგეგმვა წინასწარ ცოტა არ იყოს ძნელია. ყველაფერი ამინდებზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, სერვის ცენტრი ამ მომენტებისათვის სარწყავი წყლის მიწოდებას გააგრძელებს მანამდე, ვიდრე ამის მოთხოვნა იქნება და როგორც აღრე, არც ამის შემდგომ ექნებათ მათ რაიმე შეფერხება სარწყავი წყლის მიწოდებაში.



ესაუბრა გივი
ლაბახიშვილი

განცხადება

საკაპილო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების ერთმანეთსა და ერთმანეთს ბრძოლაში აზიის განვითარების ბანკი სარწმუნო სისხლს საკაპილიტაციო სამუშაოებში ერთვება

განვითარების მიერ მოწოდებული ფურძის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, სუბსიდიას მიიღებს ის ღვინის კომპანია, რომელიც 2021 წლის რთველის განმავლობაში კახეთის რეგიონში მოწვეული 1 კგ რქაწითელისა და კახური მწვანის ჯიშების ფურძის სანაცვლოდ ფურძის ჩამბარებულს გადაუხდის არანაკლებ 0,90 ლარს. სუბსიდიის მისაღებად, კომპანიამ უნდა შეისყიდოს და გადაამუშაოს არანაკლებ 100 (ასი) ტონა რქაწითელი ან კახური მწვანის ჯიშის ფურძენი. ღვინის მწარმოებელ კომპანიებზე გაიცემა სუბსიდია: შესყიდულ 1 კგ რქაწითელისა და კახური მწვანისთვის - 0,35 ლარი.

„ინფრასტრუქტურა-2021“


გზა, რომელიც მატერიალური კულტურის კებლთან გვაკავშირებს

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საგარეჯო-უდაბნო-დავით გარეჯის საავტომობილო გზის 15 კმ-მდე მონაკვეთის პროექტირება-რეაბილიტაცია დასრულდა პროექტის ფარგლებში, დაზიანებული გზა სრულად რეაბილიტირდა, ჩატარდა მიწის სამუშაოები, მოეწყო გზის საფუძველი, დაიგო ასფალტ-ბეტონის საფარი, შეკეთდა და მოეწყო ახალი ხელოვნური ნაგებობები. ასევე, შემოიფარგლა გზის სავალი ნაწილი და დამონტაჟდა საგზაო ნიშნები



ქალაქი საბარეჯო

ქალაქ საგარეჯოში, რუსთაველის ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს მოპირკეთება-მოსასვლელების სამუშაოები დასრულდა.



ქ. საბარეჯოში, რუსთაველისა და კახეთის ქუჩის დამაკავშირებელი გზების მოსასვლელების სამუშაოების პირველი ეტაპი დასრულდა. პროექტის ღირებულება 131 153 ლარს შეადგენს და სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ენ-დი როუდი“ არსულებს.

„რაც ღაფიფებით არ იბინდება...“

2008 წლის აგვისტოს ანაბეჭდები...

ლიტერატურული – პანაზნა გორბასლის ხარისხის ორდენის მქონე

„ერთი საპატიო
თხილის გულით
გაპინანდით“
შინდისელები



„როცა 17 შინდისელი გმირიდან ერთ-ერთი – მიხეილ დვალაშვილი სახლში მიახვეწეს, მისმა მშობლებმა, შვილის სხვა პირად ნივთებთან ერთად, მის ჯიბეში ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილი პატარა ლექსი იპოვეს.“

„ჩვენ ვართ კაცები, არ ვართ ლანჩები, გულისკაცები და ვაჟაკები. ერთი ყუმბარა გვერდით თან გვიღვეს, სიკვდილის შიში ვერ აგვატირებს. ბევრი ვიყავით, ერთი სამარე თხილის გულით გაინაწილეთ“...

სოფელ შინდისის მაცხოვრებლები ჰყვებიან:

„ასეთი რამ ფილმებშიც არ გვინახავს, ჩვიდმეტიდან ერთადერთი საღ-საღამათი ჯარისკაცი, რომელსაც შეუძლია გაქცევა, მუხლებზე დასვენებული დაჭრილი თანამებრძოლის თავს გულში იხუტებს, ჯიბიდან მობილურ ტელეფონს იღებს და სადღაც რეკავს.“

„მისასუსტე, მამო, ღმერთო, არ გადის ეს დალოცვილი ზარი“ -ისმის ტკივილი ნათქვამი სიტყვები. მერე მობილურს მოისვრის და დაჭრილ ბიჭებს გასძახებს, ჩემკენ მოიწიეთ, მტერს ცოცხალი არ უნდა ჩავბარდეთ, „ლიმონკა“ მაქვს და თავს ავიფეთქებთ. ეს თვითმკვლელობა არ იქნება.

მე ვილოცებ, თქვენ თუნდაც გულში გაიმეორეთ და ბრძოლის ველზე ანგელოზის გალობასავით გაისმის „მამო ჩვენო“. ლოცვის დასრულების შემდეგ მცირე პაუზა იყო და უცებ ყველაფერი წამებში მოხდა, აფეთქებამ ანგელოზის ხმაც წაშალა და ისიც, ვისი ყელიდანაც ის ხმა ამოდიოდა.

აღარც ის დაჭრილი ჩანდა, მეგობრის მუხლებზე რომ ედო თავი. ჯარისკაცმა ალეკო ონიანმა თავი აიფეთქა და მასთან ერთად დაიღუპა გულში ჩახუტებული ნათლულიც – რომან ზოიძე. გამუდმებით ეხვეწებოდა ნათლული ნათლიას, ეს არ ქნა, წადი, მე მაინც არაფერი მეშველება და ჩემი სულისთვის ილოცეო. „არა“ – უპასუხა ალეკომ.

ალეკო მობილური ტელეფონით მოძველთან დარეკვას ცდილობდა, სურდა, საკუთარი თავისა და თანამებრძოლების შენობა ეთხოვა

ასე გალობითა და ლოცვით გადავიდნენ იმიერ საქართველოში ეს ბიჭები, ჩვენ კი ვაჟაკების საოცარი მაგალითი დავგიტოვეს“.

შინდისელები იხსენებენ, რომ მოწინააღმდეგის ვაჟაკობით გაოგნებულმა მტერმა, დახრილებს ნივთებს ხელი არ ახლო.

ახლა ეს ნივთები მემორიალის საკუთრებაა...

ერთ-ერთი გმირის, მიშკო დვალაშვილის ცხედარი შინ რომ მიახვეწეს, მას ყველაფერი თან ჰქონდა – იარაღიც, ჯავანჯილეტიც და მობილური ტელეფონიც და ჯიბეში, ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილი ლექსი, სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე რომ დაწერა –

„ჩვენ ვართ კაცები, არ ვართ ლანჩები, გულისკაცები და ვაჟაკები.“

ერთი ყუმბარა გვერდით თან გვიღვეს, სიკვდილის შიში ვერ აგვატირებს.

ბევრი ვიყავით, ერთი სამარე თხილის გულით გაინაწილეთ“.

ის ლექსებს წერდა და სივრცემდე უყვარდა საქართველო...“

ბიორბი კირაკოზაშვილი საგარეო ურთიერთობების მინისტრის მოადგილე დიდ ჩაილურში დაიბადა. დღეს მის სახელს ის საჯარო სკოლა ატარებს, სადაც მან თავისი ბავშვობა გაატარა, საიდანაც გზა დაულოცეს ცხოვრების ბილიკებზე კაცური ნაბიჯებით გასაგებულად...

აგვისტოში ჩვენი გაზეთის რედაქციას დედაბნის სტუმრობს, ან თავისი შვილის მოსაფრებელ ტექსტს სხვას ატანს. ჩვენ ცრემლის გარეშე ვერ გვითხულობთ დედის სევდამონატრების უსტარს.

13 წელი გავიდა გიორგის გმირულად დაღუპვის შემდეგ, რომელსაც დაღუპვის შემდეგ ვახტანგ გორგასლის ორდენი მიენიჭა. დღეს მისი ბიჭები ნიკუშა და თოთ 13 წლით უფროსები არიან იმ აგვისტოდან, 13 წლის ხდება მამის უნახავი მარიამიც!

დღეს კი 13 წლის წინ დაწერილ ნარკვევს ვთავაზობთ, რომელიც ვია (გიორგი) კირაკოზაშვილის შესახებ ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის.

აღბა ჯარი! ადგა ჯარი! – ასე აღვიძებდა მამა პატარა ძილისგულებს – თოთ და ნიკუშა კირაკოზაშვილებს. „ადგა ჯარი“... მამა იმთავითვე სამშობლოს ჯარისკაცებს ხედავს პატარა ბიჭებში... მაგრამ ავგ 7 თვეზე მეტია, ბიჭები ამ შეძახილის გარეშე იღვიძებენ დილაობით. მამა – გიორგი კირაკოზაშვილი სამშობლოს შეეწირა აგვისტოს ომში...

„ადგა ჯარი“, – აღვიძებდა მამა ბიჭებს და როცა სამშობლოს გაუჭირდა, თავად ადგა და წავიდა მამულის დასაცავად.

მამის მძაკემა ობლებს ზარდახმა აჩუქა – მამის ნივთები აქ შეინახეთ და ხშირად ათვალდით. ასეც მოიქცა „ჯარი“ და აი, ათვალდით კიდევ პატარა ნიკუშა მამის მძღვლებს... თოთ კი ნაღვლიანად ყვება:

„საფხულში სოფელში ვიყავით, დედა და მამა შაბათ-კვირას ჩამოდიოდნენ. ერთ ჩამოსვლაზე ვთხოვე, მამადავით შემიყვანე-მეთქი. წამოვიყვანა მამადავითზე, აკაკი წერეთლის საფლავიც მაჩვენა, მამა მაშინ ენახე ბოლოს... ისე, მგონი, ნიკუშამ უფრო ბევრჯერ ნახა მამა...“

ნიკუშა: „აი, თოთ რომ ჩამოვიყვანა მამამ სოფელში, მეც ვთხოვე, წამოვიყვანე-მეთქი. წამოვიყვანა და თავისი სამსახურიც მაჩვენა. იცი, რა მაგარი იყო? იქ ბევრი ჯარისკაცები იყვნენ, ავტომატიც კი მათხოვეს, ფორმა ჩამაცვეს, თავისი მობილუბით სურათებს მიღებდნენ. ბევრი ვეთამაშე მამის ჯარისკაცებს. მე ამ ყველაფერს მარიამს მოყვებოდი, როცა გაიხრდა. ისე, იცი, რატომ მიყვარს მარიამი ასე ძალიან? მეცოდება, მამა საერთოდ რომ არ უნახავს და თან, მგონი, მამაც ასეთი იყო პატარაობაში, ხანდახან მამას ვუძახი. მე დედას ვუთხარი უკვე, რომ სახელი უნდა შევიცვალა და გიორგი უნდა დავირქვა, მერე მეც სამხედრო ვამოვიყვანე და გიორგი კირაკოზაშვილი ვიქნებოდი. ისეთივე მაგარი, როგორც მამა იყო.“

ბიჭებს გმირი მამა ჰყავთ. ეს გმირი მამა ფოტოდან გაზრდის მათ ვაჟაკებდად. ბევრად უფრო მეტს მისცემს ბიჭებს, ვიდრე ბევრი ცოცხალი მამა ერთად აღებუდ.

გმირი გიორგი კირაკოზაშვილი 33 წლის წინათ დაიბადა სოფელ ჩაილურში, ჯარში 15 წელი იმსახურა. სამხედრო აკადემიაში ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შევიდა. მსახურობდა გვარდიაში, სპეცრაზმში, თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ პირველ ბრიგადაში. ბოლოს – მეოთხე ბრიგადაში, იყო ბატალიონის დაზვერვის უფროსი.

ისტორიის მასწავლებელს ეკა კირაკოზაშვილს ოცნებად ჰქონდა სამხედრო პირზე გათხოვება. ეს ოცნება გაუშხილა კიდევ ნათესავს. ნათესავმა ახალგაზრდა, უმცროსი ლეიტენანტი გიორგი კირაკოზაშვილი გააცნო. გიორგი კირაკოზაშვილი კი, თავის მხრივ, პედაგოგ მეუღლეზე ოცნებობდა – ხშირად ვიქნები ოჯახიდან გასული და პედაგოგი კარგ შეილებს გამოზრდის.

პირველად ნიკოლოზობას, 19 დეკემბერს შეხვდნენ. გიორგიმ მომავალი მეუღლე ხელოვნების მუზეუმში ცვილის ფიგურების გამოფენაზე წაიყვანა. მეორედ ეკა დაბადების დღეზე ნახა, როგორც დღეს ქალბატონი ეკა სვედიანი დამილით იხსენებს: „უცებ მაქანდიდან გადმოაძვინა ხელოვნური ყვავილები და მომანება, ისიც თურმე მძაკეს აუიღინა, თვითონ ყვავილებით სიარული შერცხვა, როგორც გვიან გავიგე...“

გაცნობიდან ერთი თვის თავზე ჯვარი დაიწერეს. გაცნობიდან ზუსტად ერთი წლის თავზე, კვლავ ნიკოლოზობას, ვაჟი შეეძინა და ნიკუშა დაარქვეს... მათი ბედ-

ნიერება კი ომის ცეცხლმა დააღწო ცვილი-ვიით...

როცა დაქორწინდნენ, გიორგი იმხანად გვარდიაში მსახურობდა და ხშირად უწვევდა ნაწილში დარჩენა. ახლად მოყვანილი ცოლი თავიდან ნერვიულობდა, მერე ნელ-ნელა შეეჩვია ჯარისკაცის ცოლობას.

ბიჭები სულ დანატრული იყვნენ მამას. მამა კი, მოვიდოდა თუ არა შინ, ტელევიზორში საინფორმაციო გამოშვებებს ეძებდა. ბიჭები არ უსვენებდნენ. არ აცლიდნენ მოსმენას, მერე მამა ერთს „სამხედრო ენაზე“ დაიყვირებდა და ბიჭებიც ლოგინის ქვეშ ძვრებოდნენ. მერე კი მამა ეძებდა მათ და ეს უკვე რიტუალად ექცო.

ეკა: „სამსახურიდან ხშირად დადღილი და გაღიზიანებული ბრუნდებოდა. ასეთ დროს პირდაპირ მაფრთხილებდა, ვერ ვარ ხასიათზე და რამეს თუ ვიტყვი უხეშად, გუხვევს, შენს თავზე არ მიიღო და არ გამიბრაზდე, უბრალოდ, მძიმე დღე მქონდა. მე ამაზე ყოველთვის მეცინებოდა. მერე ერთი ჭიქაც რომ დაეღია, ისეთი მხიარული ხდებოდა, მე რომც დამეწყო ჩხუბი, თვითონ ხმას აღარ ამოიღებდა. ერთხელ, როდესაც ასეთი დამიმეზობი დაბრუნდა, გაფრთხილებაც ვერ მოსწწრო, მე ხმა არ ამოვიღე, ისე ვასაღვლე, ერთი ჭიქა ღვინო დავეუღე. გვერდით მიეუჯექი და ხმას არ ვიღებ. მიყურა, მიყურა და სიცილი დაიწყო, იცი, დღეს რა მოხდა? დღეს ჯარისკაცი იდგა და თვლემდომ, დავეყვირე, განაწვეს დგახარ, რა დროს ძილია-მეთქი. ამ საწყალს თურმე ისე დრმად ეძინა, რომ ჩემს ყვირილზე უკან გადავარდა და თავი გაიტეხაო. არ სჯობდა, ყვირილის მაგიერ იაფნაა მემღერა, ეგება აღარ წაქცეულიყო, შარს ავიცილებდი, მთელი დღე ისევე მე მომიწია თავგატეხილი ჯარისკაცის მოვლაო.“

ბიჭები – თოთ და ნიკუშა, ხშირად რთავდნენ ვიდეოზე ჩაწერილ მამის ქვიფებს და მამასთან ერთად ახლა უკვე ასე მღერაინ...

გიორგი საკუთარ სახლზე ოცნებობდა, ომამდე რამდენიმე თვით ადრე, ბანკიდან კრედიტი აიღო, სამსახურიდან – შეგბულეშა, ერთთოხიანი ბინა იყიდა, გარემონტებდა შეუღდა. ცოლს ისეთ ბინას ჰპირდებოდა, სახლიდან გამოსვლა რომ არ მოხდებოდა. ყველაფერს თავად აკონტროლებდა, ფინანსებსაც, მუშებსაც. ცოლი მხოლოდ დასათვალისწინებლად მიჰყავდა. საფხულში, სიტუაცია რომ დაიძაბა, სამსახური ვაზარმულ რეჟიმზე გადავიდა, უხეშობა კიდევ რემონტის დამთავრებას არ მაცლიანო. 6 აგვისტოს გიორგი ომში წავიდა. წავიდა საბოლოოდ. დაიღუპა 9 აგვისტოს. მანამდე კი ყოველდღე რეკავდა შინ.

ეკა: „სულ რამდენიმე წამს მეღაპარაკეობდა, ბევრს ვერაფერს მეუბნებოდა, არც მე მაღაპარაკებდა. ბავშვებს მოიკითხავდა, ჯერ ცოცხალი ვარო, მეტყობა და ტელეფონს თიშავდა. ხანდახან მინდოდა, სიტყვებით მაინც მოვფერებოდი და არ მაცლიდა, ან მომისმენდა და წავედიო, მეტყობა. ბოლოს 8 აგვისტოს დარეკა დამის 12-ის ნახევარზე. წინა დღით მისი უახლოესი მძაკე დაიღუპა და ბრდენიდა იქაურობას, ხმაც აღარ მომეწონა, თითქმის გუჯი ეპარებოდა უკვე გადარჩენაში. ვკითხე, დაჭრილი ხომ არ ხარ-მეთქი, არაო... ძალიან



ცოტა ხანს ვისაუბრეთ. ბინაზე მკითხა, რას შერები, თანხას ხომ ისე ხარჯავ, როგორც დავგებეთო. მერე თვითონვე მითხრა, რას გეკითხები, რა დროს ბინააო. ბოლოჯერ მესმოდა გიორგის ხმა. 9-ში დილით დაიღუპა...“

9 აგვისტო. დილა. გიორგი ჯარისკაცებთან ერთად ცხინვალის შესასვლელთან ახლომდებარე სკოლის შენობაშია გამაგრებული. დავალება – საარტილერიო დივიზიონის მტრის ადგილმდებარეობის კოორდინატები უნდა მიაწოდონ. მტრის კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლა საჭირო. შორს არაა, იქვეა. ნაძვანია გასაგებელი. წესით, მორიგეობით გიორგის არ ეკუთვნის იქ გაგება, 8 აგვისტოს იყო გადასული მტრის მხარეს, მაგრამ თავად მოინდომა გადასვლა. მიზეზი – დაღუპულ მძაკეს გადასვლა. წინააღმდეგობა არ გაუწიეს. მიდის, მეკავშირებთან, გონაღვნიძესთან ერთად. გონამ და გიორგიმ ნასაფრებული სნაიპერი შენიშნეს. გიორგიმ ყუმბარტყორცნი მოიმარჯვა სასროლად, მაგრამ... სნაიპერი წამებში ასწრებს სროლას. გიორგი ყელში იჭრება, სამიოდე ნაბიჯი და ადგილზე იღუპება...

გიორგი იღუპება, ფეხმძიმე მეუღლეს კი კიდევ რამდენიმე დღე იმედი აქვს, რომ მეუღლე ცოცხალი ჰყავს. ბევრი ეუბნება, რომ ცოცხალი ნახა, დაჭრილი იყო... თავად ისტერიულად რეკავს მეუღლის ტელეფონზე.

ეკა: „ერთ დღესაც წამიერად დაირეკა გიორგისთან და ისევე გაითიშა, ამან ისე გამახარა, ვიფიქრე, მორჩა, გიორგი ცოცხალია-მეთქი, არადა, გიორგი დაღუპული იყო. ეტყობა, მის თანამებრძოლს დასჭირდა კარტა და გამოიყენა. ამიტომაც დაირეკა წამიერად მის ნომერზე... მერე გიორგის კურსელის მამამ დაამიერეკა, გორის სამხედრო მოსპიტალში ეხმარებოდა დაჭრილი ჯარისკაცების გადმოყვანაში, დამიერეკა და მითხრა, გიორგი ცოცხალია, ჩემი ხელით ჩავაბარე მთავარ ექიმსო. ამ ზარის შემდეგ ვაგიძევი ეკლესიაში მამა სოკრატესთან და დალოცვა ვთხოვე. 10 აგვისტოს დაჭრილი ჯარისკაცები თბილისში დღუღუშაურის კლინიკაში გადმოიყვანეს. მეც მივედი გიორგის მოსაძებნად. მთელი დღე საავადმყოფოსთან ვავატარე. იქ დავაღამე ის დღე, სიახლე კი არაფერი იყო. სახლში ისევე იმედი დავბრუნდი, თუმცა სახლთან უამრავი ადამიანი დაეინახე შეკრებილი... ყველა ტირიდა... ჩემს დანახვაზე კი უფრო ხმამაღლა ატირდნენ და მერე არაფერი მახსოვს... ამბავი მამიდანამდე გაიგო, გაახსენდა, რომ ჩვენი მეზობელი ჯარისკაცი გიორგის დაქვემდებარებაში იყო და მას პირდაპირ ბრძოლის ველზე დაურეკა. სიმართლე მწარე იყო...“

ცოლს ხშირად ეუბნებოდა თურმე, თუ ახალგაზრდა მოვეკვდები, უკანასკნელ გზაზე მძაკეები გამაცილებენ, თუ სიბერეს მივალვქვ – ჩემი შეილებო.

ახალგაზრდა დაცვა ბრძოლის ველზე – 33 წლის. გმირულად დაეცა. დარჩა ბიჭები – 7 წლის ნიკუშა და 6 წლის თოთ. ეკა თვალცრემლიანი იხსენებს: „ბიჭებზე ამბობდა, ესენი ჩემი ვაჟაკები არიან და მარიამი შენი იქნებაო“. მარიამი მამის დაღუპვიდან რამდენიმე თვის შემდეგ მოველინა ქვეყანას. 4 თვისაა, მაგრამ მძიმე უკვე უყვებოდა მამის გმირობის ამბავს. ჯერ დედას აყოლინებენ დეტალურად და მერე პაწია დაიკოს უამბობენ...

„მიწა – ჩვენი მარჩენალი“

„მიწის ყივილი“ თუ როცა საქმე კობი ხდება...



ბასშილი საუკუნის 80-იანი წლების პრესაში შემოღებული იყო რუბრიკა „მთას დაუბრუნდა მთიელი“... იყო ერთი ამბავი. მაშინ მართლაც იშვიათობა იყო, მაგრამ 50-იან წლებში ნაძვალდევად, დაძალებით ბარში ჩამოსახლებული მთიელები საკუთარ ბუდეებს უბრუნდებოდნენ. ქართველები ამბობენ, ეს „მიწის ყივილია“. ახლაც მახსოვს, რა სიყვარულით ახლებდნენ სახლების სახურავებს ზემო ყანდაურაში სახურავამონგრეულ, 30 წლის წინ მიტოვებულ ბაღ-აურში იძულებით ჩასახლებულები, წმენდნენ წინაპართა ხაგსმოდებულ, დუქარდ, ცხვარ, მაკრატელ, თითისტარგამოსახულ საფლაგებს, უხაროდ და მერე როგორ უხაროდ. აქვს დიდი რაოდენობით დაფარვატებდნენ მესერშემონგრეულ ეზოებში წითელკაბა გოგონები და მოკლეშარვლიანი პატარა ბიჭები...

მართლა თავად უნდა გენახათ ახალგაზრდა მშობლების სახეები, თავიანთ შეიღებს თავიანთი ბავშვების საკუთარ ნაფეხურებზე რომ ხედავდნენ... რაღაცნაირი სხივი უნათებდათ სახეებს.

ორი თვეა ასეთ სხივს ვხედავ ჩემი მეზობელი – მომიჯნავეის სახეზე. ჩვენს შორის ე.წ. „სეტკა“ მავთულბადეა. იენისის დასაწყისში ჩამოვიდა თბილისიდან. მეგონა, ერთი რიგითი ვიზიტი იყო ბავშვობაგატარებული, მონატრებული, თბილისის ხეატსთავამორიდებული 27 წლის ახალგაზრდის, მაგრამ...

ახლადგადაკრეჭილ ხეხილის ბაღში ბარვა დაიწყო, გამიკვირდა... რაღა დროს ბარვა... ნელ-ნელა დრმად თხრის, დიდ-დიდ ქვებს ბაღის ბოლოში ერთ ადგილას ყრის, ნელ-ნელა, დაგეშოვნებით და იცით, როგორ? მიწასთან დამეკობრებულია, ხო, დიდი ხნის წინ დამეკობრებულია, ნაღამა კახელმა კაცმა რომ იცის, სვენებ-სვენებით, შემოდგომიდან რომ დაიწყებს. სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა... მეგონა მალე მობეზრდებოდა, მაგრამ მოლოდინი გამიცრუდა... მალე ჩითილები მოიტანა, ჯერ პამიდურის, წიწკის, კომბოსტოს, რკანის... ამოიწვერა კიტრის, ლობიოს ფოთლები, გაიზარდნენ და მეტი და მეტი მოითხოვეს. მთელი დღე მათ შორის ფუსფუსებს, ეფერება, თითოეულ აქვარს უფროთხილდება. მიკვირს მისი მოთმინება, შრომისმოყვარეობა, ხო, არ გამომჩნებს, ბოსტნეულს დამის განათებაც აქვს.

ერთ დღესაც გულმა აღარ მომიტინა და კითხვები დაეუსვი. თუმცა, მანამდე გაგაცნობთ. ეს თორნიკე თათარაშვილია. მისი მამის პაპა (დედის მხრიდან) სოსო ჯაბადარი საგარეჯოს რაისაგადამყოფოს ექიმი რენტგენოლოგი იყო. ცოლ-შვილი თბილისში ცხოვრობდა, თავად კი ამ ლამაზი ეზო-კარ-მიდამოს თავს ვერ ანებებდა. თუმცა, როგორც მეზობლები ამბობენ, ეს ბოსტანი, ანუ ხეხილის ბაღი ბოლო 50 წელია არავის უნახავს დაბარულ-დაბოსტნებული.

დღეს კი თორნიკე ჩვენი, ჩემი, თქვენი ბტუმარია, ჩვენი გაზეთის ძვირფასო მკითხველი!
– მე ვარ თორნიკე თათარაშვილი, 27 წლის, დავიბადე და გავიზარდე ქ. თბილისში, მყავს დედა, მამა და ერთი და – დაოჯახებული.

- თორნიკე, გვითხარი, რომელი სკოლა დაამთავრე, როდის?
- 2011 წელს დაამთავრე თბილისის მე-7 გიმნაზია.
- უმაღლესი სასწავლებელი, რა პროფესია გაქვს?
- უმაღლესში სწავლა აღარ გამიგრძელებია, მაგრამ პროფესიით ვარ პროგრამისტი.
- რა გააკეთებთ საგარეჯოსთან. დამიხასიათე შენი თვალთ დანახული საგარეჯო.
- საგარეჯოდან არის ჩემი ფესვები, ბებიაჩემის – მამის დედის. ნელი ჯაბადარის მამა-პაპული სახლი საგარეჯოშია. მე აქ ბავშვობის ყველაზე ლამაზი წლები გავატარე ზაფხულის არდადეგები, ბავშვობის მეგობრები, მეზობლები ერთ ლამაზ წიგნად აქ აიკინძა, ხოდა ბავშვობიდან აქაურობამ ძალიან შემაყვარა თავი. ამ სიყვარულმა სურვილი გამიჩინა აქ ცხოვრების, ჩემი მიწის დამუშავების და ამ მიწაზე პაწაწინა ბაღ-ბოსტნის გაშენების...

საგარეჯო ჩემთვის ასოცირდება სიმწვანესთან, სიმწვინდესთან, სუფთა ჰაერთან, გემრიელ და ჯანსაღ პროდუქტთან, რომელიც უკვე ჩემი ხელით მომყავს, ჩემსავე ეზოში.

- რას საქმანობდი საერთოდ, სანამ აქ დაფუძნდებოდი?
- ამ ეტაპზე ჩემი საქმიანობა მიწასთან მუშაობაა.
- ვინ გასწავლა ბოსტნის მოვლა, რამ გიბიძგა მიწის დამუშავებისკენ?
- თითქმის ორი წელი ვმოდლაწვობდი მამკოდის მამათა მონასტერში. ვესმარებოდი და ვცხოვრობდი სასულიერო პირებთან ერთად. სწორედ იქ ვმუშაობდით მიწაზე, ვუვლიდით ხეხილს, მოგვეყავდა ბოსტნეული, გამუშავებდით მიწას სხვადასხვა მარცვლეულის მოსაყვანად (სიმინდი, ხორბალი და ა.შ.). მიწასთან მუშაობა, მცენარეებთან ურთიერთობა გახდა ჩემი პობი, რომელი საქმეც ჩემთვის მეტად სასიამოვნო გახდა.

- რას უბიძგებ მოწვეულ მოსავალს?
- როდესაც მიწასთან ურთიერთობაა სიამოვნება, ასევე დიდი სიხარულია შენი ნამუშევრის შედეგის დანახვა. როცა შენი ნაფერები ბოსტანი ნაყოფს გაძლევს და მადლიერებას გამოხატავს, რომ მოფერე, მოუარე...

ვფიქრობ, პირველ მოსავალს აუცილებლად გავცემ სანუქრად ახლობლებზე, მეგობრებსა და მეზობლებზე, რომ ჩემი მომავალი მოსავალი იყოს უფრო მეტად ნაყოფიერი. ერთი სიტყვით ჩემი სიხარული მინდა სხვებსაც გაეუნაწილო.

- დარჩები თუ არა ზამთარში საგარეჯოში?
- მაქვს სამომავლო გეგმები და ეს გეგმები აუცილებლად უკავშირდება საგარეჯოს, მომავალი თავად გეინვენებს, ღვთის შეწყვენით, რა და როგორ იქნება...

აღაიანები აქლირებენ მიწას და არა მიწა აღაიანებს



ჩვენ, ძარტველებს ჩვენი მიწა-წყალი უზალმა თავად გზობა და მფარველად დედა ღვთისა მოგვიგზინა. ამიტომაცაა ათასწლეულების ძარტვინებებს რომ უძლებს წინაპართა სისხლითა და კვლავით ბაპონიერებული ძარტული მიწა, მიწა, რომლის დაუზღვრავად ოცნებობდნენ რომაელები, ბერძენები, არაბები, მონღოლები, სპარსელები, თურქები, ყველა ურჯულო და გადამთიელი.

დღეს ომის, სისხლისღვრის ბარეში იაყროს ურჯულო და გადამთიელი მიწას, რომელიც ყოველთვის ძარტველისათვის სიცოცხლესავეთ კვირვასი უნდა იყოს. იქნებ ბავშვმა არც იცის, ისრამელი რა ახალგაზრდა სახელმწიფოა და იბრახება რომელი უფროსი ღვთისმშობელია თითოეულ გოგ მიწას.

შიმორე პერსისი სიტყვები, რომელმაც სამყარო შექმნა, ასე უწოდებს 92 წლის ებრაელი პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, ისრაელის მე-9-ე პრეზიდენტის შიმონ პერესის გამოსვლას კიევიში.

„ჩვენ ვიცნობდით ჩვენს მიწაზე, მაგრამ მიწა, რომელიც ჩვენ გვერდით იყო. ეს იყო რაღაც პატარა ნაგლეჯი მიწისა ახლო აღმოსავლეთის ერთი მეთაველი ნაწილი. ეს მიწა ჩვენ კარგად არ გვეყვრობოდა იქ იყო ჭაობები, კოდები, სამხრეთში უდაბნო და ქვები არჩევანი კოდებსა და ქვებს შორის იყო. იქ ორი ტბა იყო – ერთი მკვდარი და მეორე მომაკვდავი. იყო განთქმული მდინარე, თუმცა მასში წყალი არ იყო. წყალი სრულებით არ იყო. არანაირი ბუნებრივი რესურსი არ არსებობდა – არც ოქრო და არც ნავთობი მაშინ ასეთი გამოთქმა იყო „ახლო აღმოსავლეთში არსებობს ქვეყნების ორი ტიპი: ნავთობის ქვეყნები და წმინდა ქვეყნები“. ჩვენი ქვეყანა კი – აბსოლუტურად წმინდა იყო რამეთუ არაფერი არ ჰქონდა.

ჩვენ მარტოღმარტო ვიყავით. ჩვენ არ გვეყავდა არც რელიგიური ძებნი, არც ერთენოვანი დები და არც ისტორიული მეზობლები. ეს ყველაფერი ხდებოდა პოლოკოსის შემდგომ ჩვენ იქ მივევით და არ ვიცოდით რა გვექნა ნამდვილად არ ვიცოდით.

და ჩვენ მოვიფიქრეთ: ბუნების ყველაზე დიდი სიმდიდრე – ეს არის ადამიანი. ადამიანები ამდიდრებენ მიწას და არა მიწა ადამიანებს.

ჩვენ გავხდით სწავლულები. ყოველმა ფერმერმა ისრაელსი და ყოველმა გლეხმა დაიწყო ფიქრი, თუ როგორ განვეითარებოდა სოფლის მეურნეობა წყლისა და მიწის გარეშე და ჩვენ განვეითარეთ ის. ეს იყო პირველი სოფლის მეურნეობა მსოფლიოში, რომელიც პაი-ტექსე (მაღალ ტექნოლოგიაზე რედ.) დაფუძნდა. მე თვითონ მაშინ აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი და ჩვენ ვცდილობდით ჩაგვეტარებინა ირიგაცია ცხელი წყლით ვრწყავდით ხეებს და გვეგონა რომ ისინი ასე უკეთ გაიზრდებოდნენ. ჩვენდა გასოცრად, გაირკვა, რომ სოფლის მეურნეობა დაფუძნებული არამხოლოდ ნიადაგზე, არამედ პაი-ტექსე დაფუძნებულიც მუშაობს. დღეს ჩვენ საკმარისი წყალი გვაქვს წყალს ჩვეულებრივად პოულობენ და არა მოიპოვებენ ჩვენ კი მისი მოპოვება დაევიწყეთ და ჩვენ წინ წავიდით. ჩვენ წყლის გამტკნარებაც ვისწავლეთ. ჩვენ ვეძებდით ბოსტნეულს, რომელიც ცოტა წყალს სვამენ და დაევიწყეთ სელექცია. აი თქვენ ნამდვილი საიდუმლო: მომავლისთვის უფრო მნიშვნელოვანია არა ის, რაც თქვენ აღმოაჩინეთ არამედ ის, რასაც თქვენ აწარმოებთ.

ჩვენ არც ხალხი გვეყავდა და არც იარაღი გვექონდა ჩვენ არასდროს არ გვიომია. ჩვენ სულ 450 ათასი კაცი ვიყავით და არც გენერლები გვეყავდა და არც საბრძოლო გამოცდილება გვექონდა. გავრამ გადაწყვიტა შეექმნა სახელმწიფო ისრაელი, მაგრამ ფაქტიურად ომი მიდოდა რა უნდა გვექნა? ორი რამ

პირველი – ადამიანები უნდა გამხდარიყვნენ მამაცები და უშიშარნი. მათ უნდა გაეგოთ, რომ ჩვენ არჩევანი არ გვაქვს ჩვენ მხოლოდ უნდა გავიმარჯვოთ. ჩვენ ერთხელაც რომ დაგმარცხდეთ მორჩა.

მეორე – იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენიარაღი არ გვექონდა ჩვენ მისი წარმოება დაევიწყეთ. ჩვენ დაევიწყეთ არმიის სრულყოფა და მოგვიწია განგვევითარებინა Iთ- სექტორი, რომელიც არმიასე მუშაობდა რამეთუ ვიყავით მარტონი და მტრულ გარემოცვაში.

რატომ ვიყვებით ყველაფერ ამას? დღემდე ახალგაზრდა გოგო-ბიჭებს ვუვებთ: მეგობრებო, თქვენ გაცილებით მეტი გაქვენ ვიდრე თქვენ ფიქრობთ ნუ იქნებით ზარმაცები! თქვენ გაქვენ გაცილებით მეტი, ვიდრე მიწას შეუძლია შემოგთავაზოთ თქვენ. თქვენ შეგიძლიათ შექმნათ ისეთი რამები, რაც თქვენ აქამდე არ მოგცემიათ ეს გაკვეთილია ყველასათვის.

უკრანია, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყანაა სოფლის მეურნეობის სფეროში თქვენ ძალიან ბევრ პროდუქტს აწვდით მსოფლიოს და სოფლის მეურნეობაზე უარი არ უნდა თქვათ თქვენ შეგიძლიათ და ვაღდებოთ ხართ ხალხის რესურსები და ტალანტი გააერთიანოთ და ისე მოახდინოთ მოდერნიზირება.

პოტენციალი ადამიანებს ძალიან დიდი აქვთ, მაგრამ ისინი ცოტათი ზარმაცები არიან. თუ რამეს მიღწევა გინდათ, უნდა იმუშაოთ ციდან არაფერი არ ცვივა. ჩვენ ისრაელში ძალიან ბევრს ვმუშაობდით რა არის ამში ცუდი?! არ ვიცი ადამიანები შეგებულებაში გადაიან ეს დროის ფუჭი ხარჯვაა. მე 90-ს გადავიცილი და არასდროს ვყოფილი ვარ „შეგებულებაში“. მე მეუბნებიან „შენ რა არანორმალური ხარ? როგორღა ისვენებ?“, მე კი ვამჯობინებ ვიმუშაო და სამუშაოსგან სიხარულს ვღებულობ. პესიმისტებიც ნუ იქნებით! ესეც დროის ფუჭი ხარჯვაა განსაკუთრებით მაშინ, როცა დროება იცვლება.

უნდა გაჰყვით მეცნიერებას. მეცნიერებას არა აქვს საზღვარი, შეზღუდვა და არააქვს რეფლექსები. ნუ ცდილობთ გადაწყვიტოთ წარსულის პრობლემები რადგან მე ვეჭვობ, რომ ამის მიღწევა შეუძლებელია წარსული საერთოდ არანაირ როლს არ თამაშობს უბრალოდ შეიშვავდეთ ის, რადგან წარსულის შეცდომები არ გაიმეორეთ წარსულში არც მომავალია და არც არანაირი იმედი.

ადამიანების უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს რაღაც „ახსოვდეთ“, და არა რაღაც „წარმოდინონ“, – ეს ყველაზე დიდი შეცდომაა რა გინდათ რომ გახსოვდეთ? ის შეცდომები, რომლებიც დაშვებული იქნა? ისტორიაზე დაყრდნობა არ შეიძლება. ისტორიკოსების მეფეების და ხელისუფალთა მაცნეები იყვნენ ისინი იმას ამბობდნენ რაც მათ აწვობდათ.

ადამიანებს ეშინიათ რაღაცის მაგრამ მხოლოდ დემერტა იცის რა დაგვემართება. ხანდახან მეკითხებიან: თუ უკან მოიხედავთ, როგორ იყო თქვენი ყველაზე დიდი შეცდომები?

მე ვპასუხობ: ჩვენ ვფიქრობდით, რომ ჩვენ დიდი ოცნებები გვექონდა ახლა კი ვხდებით, რომ ეს ოცნებები არც ისე დიდი ყოფილა ოცნებებთ რაღაც ძალიან დიდზე! რაც უფრო დიდი იქნება თქვენი ოცნება, მით უფრო დიდს მიადწევთ თქვენ.

თქვენი ახალი თაობა ბრწყინვალეა მაგრამ რაც მე მახარებს მათში, არის ის, რომ მათ სძულთ პოლიტიკოსები. ისინი ამბობენ: პოლიტიკა კორუპირებულია ის არაა ჩვენივეს. მე ვპასუხობ: თქვენ გინდათ წესიერი პოლიტიკა? წაით პოლიტიკაში და თქვენ გააკეთეთ წესიერი პოლიკა!

ზოგჯერ დამიანები მეკითხებიან მე, როგორ უნდა დავრჩეთ აქტიურები? ეს ძალიან ადვილია დაიანგარიშეთ თქვენს ტენში მიღწევები და ოცნებები თუ თქვენი ოცნებები უფრო მეტია ვიდრე თქვენი მიღწევები ეს ნიშნავს, რომ თქვენ ახალგაზრდა ხართ თუ პირიქითაა – ნიშნავს, რომ მოხუცდით.

ეს ის გაკვეთილებია, რაც მე წარსულიდან გამომყვა

„COVID-19 და ჩვენი“

რატომ ვერაზრიალეთ ახლა ადამიანები?!

„რატომ ვერაზრიალეთ იმას, ვისაც აცრა არ უნდა, ის ხომ მხოლოდ საკუთარ თავს იგდებს საფრთხეში?“ - ყოველდღიურად დასმულ ამ კითხვაზე მოკლე პასუხი ასეთია: „არა-ვაქცინირებული ადამიანები არა მხოლოდ საკუთარ ჯანმრთელობას უქმნიან საფრთხეს, არამედ წარმოადგენენ „შტამების ფაბრიკას“ - რაც უფრო მეტი არავაქცინირებული ადამიანია, მით მეტი შესაძლებლობა აქვს ვირუსს, გავრცელდეს როდესაც ეს ხდება, ის მუტაციას განიცდის და შეიძლება წარმოქმნას კიდევ უფრო საშიში მუტაცია“, - განუცხადა CNN-ს პროფესორმა უილიამ შაფნერმა, ვანდერბილტის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის ინფექციური დაავადებების განყოფილებიდან.

შტამები სწორედ კორონავირუსით ინფიცირებული ადამიანის ორგანიზმში ვითარდება. მუტირებული ვირუსი ამ გზით სხვადასხვა ახალ თვისებას იძენს და მისი დამარცხება რთულდება. მაგალითად, მას შეუძლია გახდეს უფრო გადამდები, როგორც ეს „დელტა“ შტამის შემთხვევაში მოხდა.

ახლა ცოტა უფრო ვრცელად იმაზე, თუ რატომ არის შენი აცრა სხვებისთვის მნიშვნელოვანი. სექტორის ნაწილს კითხვები მას შემდეგ გაუნდათ, რაც ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრმა (CDC) გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, კორონავირუსის „დელტა“ შტამით სხვების დაინფიცირება აცრილებსაც შეუძლიათ, იმ შემთხვევაში, თუ თავად დაინფიცირდებიან.

მაშინ რა აზრი აქვს აცრას? ან რას ვერჩიან აუცრელებს, თუკი ვაქცინირებულიც გადამდები?

როგორც ინფექციონისტი განმარტავს, რომ მთავარი დასკვნები ამ მარტივ მოცემულობას ეყრდნობა: აუცრელებს დაინფიცირებისა და დაავადების გავრცელების მეტი შანსი აქვთ, ვიდრე აცრილებს.

3-ჯერ ნაკლებია იმის ალბათობა, რომ ვაქცინირებულ ადამიანს კორონავირუსული ინფექცია დაემართება;

ვაქცინირებული ადამიანის ორგანიზმში ვირუსი ნელა მრავლდება და, შესაბამისად, გადამდებიც ბევრად ნაკლებად არის, ვიდრე არავაქცინირებული;

საერთო ჯამში, აცრილი ადამიანი დაახლოებით 10-ჯერ უფრო ნაკლებად ავრცელებს ვირუსს, ვიდრე არავაქცინირებული.

ის, რომ სრულად ვაქცინირებულები შედარებით ნაკლებად ავადდებიან, ამაზე მონაცემები საქართველოშიც დაგროვდა. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორმა ამირან გამყრელიძემ თქვა, რომ 2021 წელს კოვიდით გარდაცვლილ პაციენტთა მონაცემების შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ გარდაცვლილთა 99.7% აუცრელი იყო.

მეორე მხრივ, ასევე გაანალიზდა აცრილ მსახლეობაში დაინფიცირების მაჩვენებელი, ეს არის 0,3% ორჯერ აცრილებში და 0,9% ერთხელ აცრილებში.

როგორც ინფექციონისტი განმარტავს, არავაქცინირებული ადამიანი 10-ჯერ უფრო მეტად ავრცელებს ვირუსს, ვიდრე აცრილი. კიდევ ერთი არგუმენტი ის არის, თუ რა სირთულეებს უქმნიან არავაქცინირებული კოვიდპაციენტები, რომელთა მდგომარეობა დაავადების შემთხვევაში უფრო რთულად მიდის.

თუ მარტივი სტატისტიკით შევხედავთ ქვეყნების მდგომარეობას, ვნახავთ, რომ თუ ქვეყანაში მაღალია ვაქცინაციის დონე, დაბალია სიკვდილიანობა, აცრების მიზანიც ეს არის, რომ შეამციროს ჰოსპიტალიზაცია, დაავადების მძიმე მიმდინარეობა და შედეგად, შემცირდეს სიკვდილიანობა.

დიდ ბრიტანეთში, სადაც მსახლეობის 60% აცრილია, თუმცა, მიუხედავად კორონავირუსით ინფიცირების გაზრდილი მაჩვენებლისა, შემცირებულია გარდაცვლილთა რიცხვი: „იგივე ხდება ისრაელში, გერმანიაში და ევროკავშირის სხვა ქვეყნებში, სადაც მსახლეობის 47% ორჯერად უკვე აცრილია, ამის საპირისპირო ხდება, როცა ქვეყანაში აუცრელი უფრო მეტია, ვიდრე ვაქცინირებული.“

ყოველდღიურად იზრდება ინფიცირებულთა და გარდაცვლილთა მაჩვენებელი. საქართველოში წელს, COVID-19-ით გარდაცვალების პირველი ყველაზე მაღალი, დღიური მაჩვენებელი დაფიქსირდა 19 აგვისტოს გასული დღე-ღამის განმავლობაში გარდაიცვალა 59 ადამიანი.

საქციალისტთა თქმით, თუ შევძლებთ და დღეში 25 ათასი აცრა გაკეთდება, ძალიან სწრაფად მოხდება პანდემიის შეკავება. ასეთ პირობებში ნაკლები ადამიანისთვის იქნება კორონავირუსი სასიკვდილო.

თუ პირობითად, ვაქცინაციას ჩაიტარებს მსახლეობის 80%, ვირუსი შეიძლება მაინც გავრცელდეს, მაგრამ ამას შეიძლება ჰქონდეს ისეთი მიმდინარეობა, როგორც სხვა რესპირატორულ ვირუსებს, რომელიც წლის განმავლობაში ხშირად ემართებათ ადამიანებს, მაგრამ ამაზე არავინ დედავს.

ასეთ ვირუსებს ყურადღებასაც არ ვაქცევთ, რადგან ის სიცოცხლისთვის საშიში არ არის. ვაქცინირებულ პოპულაციაში კორონავირუსიც იქცევა მსგავს ინფექციად და არ დაგვიტრიალებს არც შეზღუდვები, არც დისტანცია და რომც გადავლო ვინმეს, არ ვიღვევებ, რადგან მეცოდინება, რომ დაავადება არ იქნება მისი სიცოცხლისთვის საშიში. ახლა ინფიცირება არის არა მარტო ჩვენი ტრაგედია, არამედ შეიძლება სხვის გარდაცვალებაში მიგვიძლიდეს წვლილი.

„დელტა“ შტამის შემთხვევაში, როგორც ინფექციონისტი ამბობენ, აუცრელ ადამიანს შეუძლია საშუალოდ 7-8 ადამიანი დაინფიციროს. გამოდის, რომ აუცრელი ადამიანი ზრდის გარემომცველების დაინფიცირების შანსს, ხოლო თუკი ვირუსის მიმდინარეობა გართულდა და ასეთ პაციენტს ჰოსპიტალიზაცია დასჭირდა, ის არა მხოლოდ თავის თავს, არამედ ჯანდაცვის გადატვირთულ სისტემასაც აწევა ტვირთად მაშინ, როცა „საწოლ-ფონდის სერიოზული დეფიციტია“.

გაუფრთხილეთ ერთმანეთს! მან კოვიდი დააპარსა



დალი ოსაყვანიძე საგარეო პოლიტიკის, ორმულან-ლოს საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

მან სულ ახლახან კოვიდინფექცია დაამარცხა შევხვდით და რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

- დალი, ინტერესობს, არ იქნება ჩვენი გაზრდილი მკითხველისთვის, ვისაზრდით იმ ვერაჯ დროსა და იმ ვერაჯ ვირუსებზე, რომელმაც ცხოვრების რიტმიდან რამდენიმე დღე ამოვარდო და წაგართვა, მაგრამ ბევრ რამეზე დაგაფიქრა. მაშ ასე, როდის გადაიტანე დაავადება და რას უკავშირდება, რა შეიძლება ყოფილიყო წყარო?

- კოვიდ-19 31 მაისს დამიდასტურდა. ვისგან და როდის დავევირუსდი - არ ვიცი. იმ პერიოდში ჩემს ირგვლივ არავინ იყო ინფიცირებული. საჯარო-სკოლაში, საავადმყოფოში ან მაღაზიაში.

- რა შეგრძობა იყო იმ დღეებში, ხშირად რაზე ფიქრობდი?

- ჩემი დაინფიცირება ერთ ჩვეულებრივ დღეს მოულოდნელად „აღმოვჩინე“. დილით, როდესაც ოჯახი ვსაუზმობდით, ვერ ვივარძე სუნი და გემო...მანამდე, პრეკოვიდური პერიოდი არც მქონია, ფიზიკურად ვერაფერ სიმპტომს ვერ ვგრძობდი...კვირა დღე იყო და, როგორც აღმოჩნდა, ამ დღეს ტესტირება არ კეთდება...მეორე დღეს გავიკეთე სწრაფი ტესტი და ჩემი მოლოდინი გამართლდა, დამიდასტურდა კოვიდ-19. ოჯახის ყველა წევრმა ჩაიტარა ტესტირება, მაგრამ მათ არ აღმოჩნდათ ვირუსი...

ამ ფაქტს მშვიდად შევხვდი, რადგან უკვე ვიცოდი როგორ უნდა მეცხოვრა ვირუსთან ერთად. ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, ხალისი არ დამიკარგავს, ყველაფერს იუმორით ვუდგებოდი და ძალიან კარგი „მეგობრული ურთიერთობა“ ჩამოვკვივალბოდა მე და ვირუსს...მხოლოდ ჩემს ახლობლებზე და მათზე, ვისთანაც ბოლო პერიოდი მქონდა ურთიერთობა, ვწუხდი, რომ მე არ ვყოფილიყავი მათი დაინფიცირების წყარო.

- შენი აზრით, შეგეძლო თავიდან აგეცილებინა ვირუსი და რა გზით?

- ახლა, როცა უკვე ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ხშირად ვფიქრობ, შეგეძლო თუ არა ამეცილებინა თავიდან დაინფიცირება, მაგრამ ვერ ავირიდებდი...რადგან ვმუშაობ მრავალრიცხოვან სკოლაში, სადაც მიუხედავად ყველანაირი რეგულაციის დაცვისა, მაინც ძნელია გააკონტროლო თითოეული მომენტი და წუთი.

- როგორ შეხვდნენ ოჯახის წევრები შენს იზოლირებას გარე სამყაროდან და ამქვეყნიური ცხოვრების რიტმიდან ამოვარდნას?

- ჩემი აქტიური ცხოვრებიდან გამომდინარე თავდაპირველად, ერთგვარად წარმოუდგენელი იყო ჩემი „გაჩერება“ ორი კვირით. ჩემი ოჯახის წევრები რომ არა, ალბათ მართლაც ძალიან გამიჭირდებოდა...მაგრამ მათი თანადგომა, ზრუნვა, ყურადღება მიმსუბუქებდა კრიზისულ პერიოდს. მათთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია, როცა რომელიმე ჩვენგანს რაიმე პრობლემა აქვს, ეს მხოლოდ მისი გადასაწყვეტი არაა. ოჯახის თითოეული წევრი ინაწილებს პასუხისმგებლობას და ერთი პრობლემა უკვე ყველასი ხდება...ასე, ერთმანეთის გვერდით დგომით და ზრუნვით ვავარდებთ ყველა პრობლემურ საკითხს. შეიძლება ჩემს შემეცნებით მხარეს, მეუფლე ემოციურ, ხოლო დედამთილი საყოფაცხოვრებო საქმეს მიგვარებდნენ. ამ პერიოდში (რადგან სხვა შემთხვევაში დრო არ მაქვს) წავიკითხე ბევრი წიგნი, ვუყურე შერჩეულ, დაგროვილ ფილმებს, რომელთა ნახვისთვის დრო არ მრჩებოდა...

„აღმოვჩინე“ კიდევ სხვა უნარები ჩემში...ახლიდან „გაიციანი“ ჩემი თავი და დავრწმუნდი, რომ „კარგი გოგო“ ვარ!

- რას ურჩევ შენს მეგობრებს, ნათესაებს, კოლეგებს, გარეგნელებს, უნდა გაიკეთონ თუ არა აცრა?

- მიუხედავად იმისა, რომ ახლა იმ ორ კვირას დიმილით და იუმორით ვისხენებ, უნდა აღვნიშნო, რომ ეს არ არის იოლად გადასატანი დაავადება. მქონდა კრიზისული პერიოდები...ოყო სასოწარკვევის და უიმედობის მომენტებიც...ძალიან დამთრგუნველია, როდესაც იგებ შენი ახლობლების და მეგობრების ავადმყოფობის უმძიმეს და ზოგჯერ ფატალურ შედეგებს... სულ ახლახანს, რამდენიმე დღის წინ, ერთ კვირაში ჩემთვის ძალიან ახლობელი ადამიანები, ჩემი ბებო და პაპა გარდაიცვალნენ კოვიდინფექციით... ეს ძალიან საშინელი ვირუსია, რომელიც ანადგურებს ადამიანის ჯანმრთელობას და ფსიქიკას...

გამოსავალი მხოლოდ ვაქცინაციაა, თუნდაც მე, ადრევე რომ ვყოფილიყავი აცრილი, ნამდვილად არ მექნებოდა გართულებები და ადვილად გადავიტანდი ვირუსს...ამ გადმოსახედიდან ყველას ვურჩევ, რომ ჩაიტაროს ვაქცინაცია, დაიხდეს თავი დაავადებისგან და გაუფრთხილდეს სხვის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. თითოეულმა ადამიანმა უნდა გაითავისოს ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც სხვა ადამიანების მიმართ აკისრიათ. ერთი დაავადებული ავირუსებს ათეულ ადამიანს, ხოლო ერთი აცრილი ასეულ ადამიანს იცავს დაავადებისგან.

- შენ შენს თანატოლებს საკუთარი ავტომობილით მომსახურება შესთავაზე - ვაქცინაციისათვის ჯეოშოსპიტალში გადაყვანაზე, რაც სასიხარულო და მისასალმებელი ვერცაა...

- მე გადავიტანე კოვიდ-19. დაუფიქრებლად ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გავიკეთე აცრა. მე ვგრძობ უდიდეს პასუხისმგებლობას ჩემი ახლობლების, მოსწავლეების და კოლეგების მიმართ. პირველ რიგში ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ადამიანებს ჩემს მიმართ ჰქონდეთ ნდობა და პატივისცემა.თუ კი არ ვიქნები დაცული ვირუსუსგან, ნამდვილად არ მინდა ეს იყოს მიზეზი ჩემს მიმართ ნდობის დაკარგვისა. სწორედ ამიტომ ჩემი მაგალითი უნდა იყოს მოტივატორი სხვებისთვის.

სოციალურ ქსელში მე წამოვიწყე აქცია „დაიცავიდაგადაარჩინე სიცოცხლე“, რომლის ფარგლებში საგარეო (და მიმდებარე სოფლების) მსახლეობის იმ სემინტს, ვისაც არ აქვს შესაძლებლობა (ვერ ფლობენ შესაბამის უნარებს) შეეთავაზე ჩემი დახმარება ონლაინ რევისტრაციისა ვაქცინაციის ვიზიტის დაჯავშნაში. ასევე, შევთავაზე ავტო-მანქანით საავადმყოფომდე და უკან, მგზავრობის მომსახურება. საბედნიეროდ, უკვე რამდენიმე ადამიანმა მომმართა და გაუწევე დახმარება. ჩემი აქცია ისევე მოქმედებს, თუკი ვინმეს აქვს სურვილი, მომმართოს და უანგაროდ დაგხმარებო. იმედია ვაქცინირებულთა რიცხვი გაიზრდება და ძალიან მალე საგარეო იქნება უსაფრთხო ქალაქი.

- ჯანმრთელობას ვისურვებთ უფალმა გისმინოთ და საგარეო მართლაც მალე გახდეს უსაფრთხო ქალაქი.

ქვიმის თხოვნა

- გემუდარებით, გთხოვთ!
- ვირჩევთ!
- ადგილების აბსოლუტური დეფიციტი!
- მძიმე, გალურჯებული პაციენტები უკვე კოლიდორებში იღობებიან!
- ხშირად ზარებს ვერ გასახსობ!
- გემუდარებით!
- გთხოვთ!
- ვირჩევთ!
- აიცვრით! ნუ დადიხართ ინფიცირებული ქუჩაში!
- ჩვენი რესურსი იწურება!
- გიყვართ ქვეყანა?
- გიყვართ ერთმანეთი?
- გსურთ გადაარჩინოთ ოჯახები?
- ჩაიტარეთ ვაქცინაცია!
- მეტი საშეუაღდ არ არის, არ არის, არ არის!
- გემუდარებით.....

ლელია ოტიაშვილი,

საგარეო „ჯეოშოსპიტალის“ კოვიდცენტრის ხელმძღვანელი

მართლმადიდებლობა მარიამობა

ღმრთისმშობლის მიძინება (მარიამობა) – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინება აღინიშნება 15/28 აგვისტოს და მას წინუძღვის ორკვირიანი მარხვა. ამ დღეს იხსენებენ ღვთისმშობლის გარდაცვალებას (მიძინებას), აღდგომასა და განდიდებას, უფლის მიერ მის „აღყვანებას“ ზეციურ სასუფეველში, მის სულიერ და ფიზიკურ სისხვესეში მყოფობას. გარდამოცემა ამბობს, რომ ის გარდაიცვალა არა საკუთარი ნებით, როგორც მისი შვილი, არამედ „ბუნებრივად“, თავისი მოკვდავი კაცობრივი ბუნების გამო, რომელიც განუყოფელია ჩვენი კაცობრივი ბუნებისაგან.

ეკლესია ასწავლის, რომ ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამს პირადი ცოდვები არ ჰქონდა. თუმცა, დღესასწაულის სახარებაც, საღვთისმსახურო ტექსტებიც და თვით მიძინების ხატიც აცხადებს, რომ ღვთის მშობლისათვის, ისევე, როგორც ყველა ადამიანისათვის, აუცილებელი იყო ქრისტეს მიერი გამოხსნა ამ ქვეყნიერების განსაცდელის, ტანჯვისა და სიკვდილისაგან. და სიკვდილის შემდეგ თავისმა ძემ იგი ადაღინა, როგორც სი-ცოცხლის დედა, რათა უკვე ახლა მიიღოს მონაწილეობა ღვთის სასუფეველის მარადიულ ცხოვრებაში.

„შობასა ქალწულებად დაიმარხე და მიცვალებასა სოფელი არა დაუტევე, ღმრთის მშობელო, მიხუდ ცხორებად დედა ეგე ცხორებისა, და აწ მოხუბეთა შენითა იხსნი სიკუდილისაგან სულთა ჩუენთა“ (ტროპარი).

„მოხუბეთა შინა სამარადისოდ მედრებელი, და შეწვენათა შინა უცვალებელი სასოუ-ბად, ღმრთის მშობელო, სამარემან და სიკუდილმან ვერ დაგაბრკოლეს, არამედ, ვითარცა დედა ეგე ცხორებისა, ცხორებად მიცვალა, რომელმან დაიმკვიდრა საშო მარადის ქალწულისა“ (კონდაკი).

მწუხრის სტიქარონი იმეორებს მთავარ თემას, რომ სიცოცხლის დედა „მივალს ზეცისა სიხარულად, საღმრთოსა შინა სიხარულსა და საუკუნ ესა საშუებელსა“ ძისა თვისისა“. ძველი აღთქმისეული საკითხავები, ისევე, როგორც მწუხრისა და ლიტურგიის სახარების საკითხავი, ისეთივეა, როგორც ღვთისმშობლის სხვა დღესასწაულების საკითხავები. მწუხრზე ჩვენ კვლავ გვეხმის მისი სიტყვები: „ადიდებს სული ჩემი უფალსა, და განისარა სულმან ჩემმან ღმრთისა მიმართ, მაცხოვრისა ჩემისა“. ლიტურგიაზე ვისმენთ ფილი-პელთა მიმართ ეპისტოლის მონაკვეთს, სადაც პავლე მოციქული საუბრობს, რომ ქრისტემ დაიმდაბლა თავი, მიიღო კაცობრივი მონობის უღელი და სამარცხვინო სიკვდილი, რათა ყოფილიყო მამა ღმრთის მიერ „უმეტესად აღმადლებული“ (ფი ლიპ. 2:5-11). და კვლავ გვეხმის სახარებიდან, რომ კურთხევა, რომელიც მიიღო ღვთის დედამ, ეკუთვნის ყველას, „რომელთა ისმინონ სიტყუა ღმრთისა და დაიმარხონ იგი“ (ლუკა, 11:27-28).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკლესიის ყველა საღვთისმშობლო დღესასწაულზე მართლ-მადიდებელი ქრისტიანები სიხარულით აღნიშნავენ იმას, რაც მათ პირად ცხოვრება-ში ხდება ქრისტესა და სულიწმინდაში. ღვთისმშობლის მიერ განცდილი განიცდება ყველასაგან, ვინც ბაძავს მას მის წმინდა ცხოვრებაში სიმდაბლით, მორჩილებითა და სიყვარულით. ყველა, ვინც მისდევს ღვთისმშობლის მაგალითს, მასთან ერთად იქნება „კურთხეული“, რათა გახდეს „უპატოსნესი ქერუბითასა და აღმატებითი უზუშთაესსა სერაბითასა“. ყველა მათგანში სულიწმინდით იშვება ქრისტე და ყოველი მათგანი იქცე-ვა ცოცხალი ღმრთის ტაძრად. და, ბოლოს, ყველა მათგანი, ვინც ისეთივე ცხოვრებით ცხოვრობს, როგორითაც დედა ღვთისმშობელმა იცხოვრა, იგემებს ზეციური სასუფეველის მარადიულ ცხოვრებას. სწორედ ამიტომ მართლმადიდებლურ გარდამოცემაში ის ხატი, რომელზედაც გამოსახულია ღვთისმშობელი მუცლად მყოფი ღვთაებრივი ყრმით, ითვ-ლება „ეკლესიის სახედ“, რადგან გადარჩება მხოლოდ ის, რომელშიც ცხოვრობს ქრისტე.

ბევრ ეკლესიაში არსებობს ღვთისმშობლის მიძინების დღეს ყვავილების კურთხევის ჩვეულება.

პიულო

გუბა მღებრიშვილის ხსოვნის ტურნირზე

23 ივლისს საგარეჯოს ძიუდოს დარბაზში ჩატარდა გუბა მღებრიშვილის ხსოვნისად-მი მიძღვნილი ტრადიციული ტურნირი მუნიციპალიტეტის პირველობაზე 2010-2011-2012 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის. პირველობაში ა(ა)იპ „საგარეჯოს მუ-ნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ საგარეჯოს, პატარძელის, გიორგიშვილის, კაკა-ბეთის, მზისგულის, უდაბნოს ძიუდოს შემსწავლელი წრეების აღსაზრდელებთან ერთად ჩართული იყვნენ სართიჭაღელი მოჭიდავეებიც. შეჯიბრება 6 წონით კატეგორიაში ჩა-ტარდა. წონითი კატეგორიების მიხედვით ტურნირის ჩემპიონები და პრიზიორები ჩვენი მუნიციპალიტეტიდან გახდნენ:

ჩემპიონები – თენგი გიუნაშვილი (პატარძელი, 27კგ), ერეკლე ჭიკაძე (მზისგული, 30კგ), ალექო ბეჟიაშვილი (გიორგიშვილი, 34კგ), მათე მათიაშვილი (საგარეჯო, 38კგ); **მეორე ადგილებზე** გავიდნენ: დავით დარბაისელი (საგარეჯო, 30 კგ), გიგი ქურხული (საგარეჯო 27კგ), დავით არღვლიანი (უდაბნო, 34კგ), არჩილ მჭედლიშვილი (კაკაბეთი, 38კგ), ბურდია დადვანი (უდაბნო, 42კგ).

მესამე პრიზიორები: გაბრიელ კოსტაშვილი (საგარეჯო, 24კგ), ადამ სიბოშვილი (პა-ტარძელი, 24კგ), ოთარ მეკოკიშვილი (გიორგიშვილი, 27კგ), ნოდარ მანურიძე (საგარეჯო, 30კგ), გიორგი კველიშვილი (გიორგიშვილი, 30კგ), მიხეილ არავიაშვილი (გიორგიშვილი, 34 კგ), რატი როსტიაშვილი (საგარეჯო, 34კგ), ნოდარ თათრისი (პატარძელი, 38კგ).

ტურნირის ჩემპიონები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიცი-პალიტეტის სპორტგაერთიანების“ შესაბამისი მედლებითა და სიგელებით.

გივი ღაბაიშვილი



„Covid-19“-ის დასამარცხებლად ასკა აუსილებელი და გარდასულია!



სოფლად მცხოვრები მოსახლეობის COVID 19 - ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩატარების მიზნით, მობი-ლური ამცრელი ჯგუფები ჩავიდნენ და საგარეჯოს მუ-ნიციპალიტეტის სოფლებში - ვერხვიანში, ყანდაურასა და თოხლიაურში მასობრივი ვაქცინაციის პროცედურა წარმატებით ჩატარდა. ვაქცინაციის ჩატარების სურვი-ლი რამდენიმე ათეულმა ადგილობრივმა გამოთქვა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ალექსი გილაშვილი აღნიშნულ სოფლებში იმყოფებოდა და მოსახლეობის ვაქცინაციის პროცესს ადგილზე გაეცნო.

აი რას წერდა უაზეთი „სტარტოელოს-რესპუბლიკა“ 1919 წელს



საფხვზურთო კლუბი „გარეჯი 1960“ -ის მენეჯერი - ლაზარე დათუნაშვილი სინო-ვაკის ვაქცინის მეორე დოზით აიცრა.



სპორტი

კიუ-ლო

იტალიიდან ბრინჯაოს მედალი თენგიზ კვარაცხელია წარმატებულია



შისგულელი თენგიზ, იგივე თენგიზ ზირაძე შეიქმნა კარგად იცნობს ჩვენი გაზეთის მკითხველი. თენგიზის ახალგაზრდაა, რომელმაც უკვე მრავალი ტურნირი მოიარა და თავის პატარა, კოაჩის სოფელში მედლებით ხელდასმეხებული დაბრუნდა - ახლახანს ის იტალიიდან ჩამოვიდა

- თენგიზ, რა ტურნირი იყო და რომელი ქვეყნები იღებდნენ მონაწილეობას?

- ევროპის თასი ახალგაზრდებს შორის იტალიაში, ქალაქ უდინში, ევროპის 32 ქვეყანა იღებდა მონაწილეობას.

- რომელ კლუბს, გუნდს წარმოადგენდი და სად გაიარე მომზადება, ვინ არის შენი მწვრთნელი

- კლუბი „საგარეჯო 2“, რომლის დირექტორიცაა ვია მისიურაძე, ხოლო მწვრთნელი ვია ხოსიტაშვილი, ამჟამად ვარ კლუბ „შეგარდენ 2005“-ში, სადაც გავდივარ მომზადებას მწვრთნელ გურამ მოდუბაძესთან.

- მოდი, კიდევ ერთხელ გადავხედოთ გამარჯვებების სიას და ჩამოვთვალოთ შენი წარმატებები

- საქართველოს ჩემპიონატზე - ოქრო, საქართველოს სარეგიონო ჩემპიონატზე - ოქრო, რაც შეეხება გასული ტურნირებს საზღვარგარეთ: სოსნოვიბორში, რუსეთში ბრინჯაო მოვიპოვე, უნგრეთსა და კოპენჰაგენში შევიძლი ოქროების მოპოვება, ანტალიაში ჭაბუკების ევროპის თასზე ბრინჯაოს მედალი ავიღე, 2019-ში ისრაელში მოვიპოვე ოქრო და ბრინჯაო, სულ რამდენიმე დღის წინ კი მოვიპოვე ახალგაზრდებს შორის ევროპის თასზე ბრინჯაოს მედალი, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემს კარიერაში, რადგან პირველი წელი მაქვს ახალგაზრდებში, ასევე იყო საზღვარგარეთ ევროპის თასები, სადაც უმედლოდ დავრჩი, მაგრამ ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე და ყოველივე ეს მენიშნება, გამოვასწორო შეცდომებში.

- იტალიის ტურნირზე ვისთან მოვიწია შერეობა

- პირველი შეხვედრა ლატვიელ ძიუდოსტს შეხვედი და დამაჯერებლად ვაზარი და იპონი მოუწვე, მეორე წრეში საკმაოდ ძლიერი რუსი მეტოქე მყავდა, რომელიც ევროპის და მსოფლიო ჩემპიონია, ბოლომდე ვიბრძოლე და დამატებით დროში ვაზარით მოუწვე. მესამე წრეში გერმანელი მეტოქე დავამარცხე ვაზარი-იპონით, 1/4 ფინალში ბელგიელ სპორტსმენს შეხვედი, რომელიც გოლდენსქორში ვაზარით დავამარცხე, ნახევარფინალში რუს ძიუდოსტს შეხვედი, რომელიც ევროპის ჩემპიონი იყო და სამწუხაროდ, ვაზარით დავამარცხდი, ბრინჯაოს მედალისთვის უნგრელი სპორტსმენი დავამარცხე ორი ვაზარით და მოვიპოვე მედალი

- შენი აზრით, ყველაზე მეტად ვისთან გაეჭირდა ჭიდაობა

- მეორე შეხვედრა იყო საკმაოდ რთული, რადგან მოწინააღმდეგე როგორც აღვნიშნე, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი იყო, მაგრამ ტატამზე მედლები არ ჭიდაობენ და დამატებით დროში მე-4 წუთზე გააკეთე მომენტებიანი გადება და გავიმარჯვე

- დამისახელე შენი ფავორიტი ძიუდოში

- ასე ფავორიტი არ მყავს, მაგრამ მაინც ლაშა შავდათუაშვილი, რადგან მასთან ერთად რამდენიმე „ზობორიც“ გავიარე და ჩემი თვალთაღაც ვნახე, რომ უზომოდ ბევრს შრომობს და უფასდება კიდევ

- რამდენი წელია, რაც ძიუდოში ხარ

- დაახლოებით 8 წელია

- დამისახილეთ ვია ხოსიტაშვილი და ვია მისიურაძე, შენი მწვრთნელები

- უზომოდ ბევრი რამ შემიძლია ვთქვა ამ ადამიანებზე, ისინი რომ არა, ალბათ ასეთი წარმატებები არ მექნებოდა და ვიქნებოდი ჩვეულებრივი რიგითი ძიუდოსტი, ისინი ყველაფერს აკეთებენ, რომ მე განვითარდე და ვახსებო ჩემი ქვეყანა, ისინი თითოეული შეჯიბრისთვის მამზადებენ, როგორც ფსიქოლოგიურად, ისე ფიზიკურად, მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო მათ და ყველაფერს გააკეთებ რათა მათი იმელები გავამართლო.

- დედამ დაპირებული საჩუქარი დაგახვედრა აეროპორტში, რატომ ფანდურით?

- რატომღაც ამ ბოლოს ძალიან მომინდა ფანდურზე სწავლა, რადგან ქართული ხალხური სიმღერები დიდ მოტივაციას მაძლევს, მოგვსხენებათ, 6 წელი ფორტეპიანოს კლასში ვიარე, ხოლო 7 წელი ვეცეკავდი, მაგრამ ახლა ვცდილობ, რომ ფანდური ვისწავლო.

- სად სწავლობ ამაჟამად?

- წელს დავამთავრე სკოლა ოქროს მედალზე, ეროვნული გამოცდები წარმატებულად ჩავაბარე, ავიღე მაღალი ქულები და ველოდები ჩარიცხვებს, დიდი ალბათობით პირველივე უნივერსიტეტში მოხვდები და ვიმედოვნებ რომ გრანტსაც ავიღებ

- გულახდილად მითხარი, არ გეშინოდა კოვიდის? თანაც მიდიოდი იმ ქვეყანაში, სადაც ეს ვირუსი „თავს კარგად გრძობს“...

- კოვიდი არ მაქვს გადატანილი და ძალიან მეშინოდა რომ დამეფიქსირებოდა, ვეღარ ვიტივალე შეჯიბრში, სულ პირბადით და სადუხინფექციო ხსნარით დავდიოდი და ასე ვაგრძელებ ახლაც, რადგან ერთმა პატარა შეცდომამ შეიძლება დიდი პრობლემები შეგიქმნას კარიერაში, ტოკიოს ოლიმპიადაზეც ძალიან ბევრი სპორტსმენს დაუდასტურდა კორონა და ავტომატურად მოიხსნენ, ამიტომ აუცილებელია სიფრთხილე.

- გაიკეთე აცრა? რას ურჩევ შენს თანატოლებს, აცრა აშარცხებს პანდემიას!

- აცრა არ გამიკეთებია, ჯერჯერობით არ მავალდებულებენ და მხოლოდ კოვიდის უარყოფითი პასუხით ვიღებ მონაწილეობას შეჯიბრებზე და „ზობორზეზეც“, რაც შეეხება აცრას, ყველა ადამიანს განსხვავებული მოსაზრება აქვს, ვფიქრობ, ჯობია დავიცვათ ყველანაირი რეგულაცია და ჩვენზე გამოცდილ ადამიანებს დავუჯეროთ, ასე გადაჭრით ვერ გეტყვით, უნდა ავიცრათ თუ არა, რადგან რთულია ამ თემაზე საუბარი.

- და ერთიც - თუ მოახერხებ იმ ქალაქის (სადაც იყავი იტალიაში) დათვალიერება და რა შთაბეჭდილება დავტოვებ?

- ქალაქ უდინში ვიტივალე შეჯიბრი, კოვიდ რეგულაციების გამო არ გვიშვებდნენ სასტუმროდან, მაგრამ წამოსვლის დღეს დავათვალიერე ქალაქი ვენეცია, ნავითაც გავისეირნე, ულამაზესი ქალაქია, მაგრამ ადგილობრივმა ხალხმა ცოტა ცუდი შთაბეჭდილება დამიტოვა, დიდად ქართველებივით არ არიან სტუმართმოყვარე ხალხი.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა მოუხადო ვაზარს „გარეჯის მაცნეს“ რედაქციას, ასე გვერდით რომ მიდგახართ და მგულშემატკივრობთ, ძალიან დიდ მოტივაციას მაძლევს ქართველი ხალხის გულშემატკივრობა, ასევე, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს მშობლებს და დაიკოს, ძალიან დიდი ხელშეწყობა მაქვს მე მათგან, რომ არა ისინი, მე ასეთი პიროვნული თვისებებით და წარმატებული არ ვიქნებოდი. ბოლომდე ვიშრომებ და ვიბრძოლებ, რომ ჩემი საქართველო ყველაზე წარმოვაჩინო. მე სპორტის ეს სახეობა ავირჩიე და მზად ვარ ჩემი ცხოვრება მივუძღვნა ძიუდოს.

- წარმატებებს ვისურვებთ სწავლასა და სპორტში

- დიდი მადლობა

ტოკიოს ოლიმპიადა - სისარულიც და იმედგაცრუებაც



მარიამი სპორტს-

მენები ოლიმპიურ თამაშებზე

საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში 1952 წლიდან გამომდინარე და უნდა ითქვას, ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ქცირათ საბჭოთა გუნდში

ტოკიოს თამაშებზე საქართველო სპორტის 11 სახეობაში 35 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი (თუმცა 2 შეჯიბრებამდე მოიხსნა), მედლები კი მხოლოდ



3 სახეობაში მოვიპოვეთ: ძიუდო, ძალოსნობა და ჭიდაობა. მართალია, ტოკიოდან 8 წილად წამოვიღეთ - 2 ოქრო, 5 ვერცხლი, 1 - ბრინჯაო, რაც დამოუკიდებელი ქართული ოლიმპიზმის ისტორიაში პირველად მოხდა, მაგრამ ქართველებისათვის ეს არ ყოფილა რეკორდი - 1972 წელს სარეკორდო რაოდენობის ოქროს მედლები ჩამოიტანეს მიუნხენიდან - ექვსი ჩვენი სპორტსმენი ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, მათ შორის იყო ჩვენი სახელოვანი ფალავანი ლევან თეფიაშვილი.

საფიქრალი კი ქართული სპორტის გულშემატკივრებს მართლაც ბევრი აქვთ.

ამ 8 მედალიდან ზუსტად ნახევარი - 4 წილად ძიუდოს ვაჟთა ნაკრებზე მოდის: 1 ოქრო (ლაშა ბექაური - 90) და 3 ვერცხლი (ვაჟა მარგველაშვილი - 66, ლაშა შავდათუაშვილი - 73, გურამ თუშიშვილი - +100). მთლიანად გუნდისა არ იყოს, ამდენი მედალი ძიუდოსტებისთვისაც სარეკორდოა - ადრე ჩვენი მაქსიმუმი 2 წილად იყო. არადა, ჩვენებმა 3 ფინალი წააგეს და 3 ათლეტი მეხუთე ადგილზე გავიდა ანუ წააგო ბრინჯაოს მედალისთვის ბრძოლა.

ბუნებრივია, ყველა მათგანის წაგება გულდასაწყვეტია, მაგრამ ერთს მაინც გამოვარჩევთ - ქალთა ტურნირში ეთერ ლიპარტელიანის (57) მარცხი, თორემ ისიც ისტორიულ შედეგს აჩვენებდა. თუმცა, ნახევარფინალში ჭიდაობაც და მეხუთეზე გასვლაც ისტორიულია ჩვენი ქალთა ძიუდოსთვის.

ძალოსნობამ წინა თამაშებზეც ორი მედალი ირგუნა - ზუსტად ამავე სინჯისა, ოღონდ ახლა სხვადასხვა წონაში მოიპოვა - ლაშა ტალახაძე (+109) ჩემპიონი გახდა, ანტონ პლესნოი კი 96-ში ბრინჯაოს დაეუფლა.

ოღონდ ახლანდელი გამოსვლა გაცილებით უფრო შთამბეჭდავი და ეპოქალურია ტალახაძის ფენომენალური ასპარეზობისა და სუპერტიმფის გამო - კაცმა ორივე მოძრაობაც და ორტიდიც მსოფლიოსა და ოლიმპიური რეკორდებით მოიგო, ორტიდში კი 45 კილოგრამით გაუსწრო (!) ვიცე-ჩემპიონს, ხოლო 64-ით (!) - მესამე პრიზიორს.

ამასთან, 3 კილოგრამით გააუმჯობესა თავისივე რეკორდი. ზოგადად, სპორტში ასეა - ათლეტი ებრძვის მეტოქეს, მაგრამ საჩხერელ ძალოსანს მეტოქე აღარ დარჩა და საკუთარ რეკორდებს ებრძვის! აბა, 45 კილოგრამით რომ კაცს გაუსწრებ, მით უფრო, 64-ით - ის რაღა მეტოქეა!

ხალხი თითო მოძრაობაში გარკვეული წონის დაფიქსირებით რომ ამთავრებდა გამოსვლას, ეს იმაზე მეტით იწყებდა ასპარეზობას და რეკორდებს უტევდა. წინასწარაც ვიცოდით, ტალახაძე ტოკიოში რეკორდების დასამყარებლად რომ მიდიოდა, თორემ კონკურენტი არ ყოფილებოდა, და საბოლოოდაც ასე მოხდა.

ჭიდაობაში 2 ვერცხლი დაისაკუთრა, თითო დისციპლინაში - თითო, ზუსტად ერთნაირი ხარისხისა და თან ორივე მიძიდ წონაში: თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი გენო პეტრიაშვილი გახდა, ბერძნულ-რომაულში - იაკობ ქაჯაია.

მოჭიდავეებისთვის ეს ყველაზე უარესი შედეგია 2004 წლის ათენის თამაშების შემდეგ: იქ ჭიდაობას 1 ვერცხლი ჰქონდა, პეკინში - 4 (2 ოქრო, თითო ვერცხლი და ბრინჯაო), ლონდონში - 5 (2 ვერცხლი, 3 - ბრინჯაო). იქ დამატებით მესამე ვერცხლიც გვექონდა, თუმცა ის მოგვიანებით ჩამოგვართვეს დოპინგის გამო), რით დე ჟანვიროში კი - 3 (1 ოქრო, 2 - ბრინჯაო).

მოჭიდავეებმა სალიცენზიო ტურნირებიც კი ცუდად ჩაატარეს - 14 შესაძლებლობიდან (ორივე სახეობაში) მხოლოდ 7 საგზური მოიპოვეს, ერთ-ერთი წარუმატებლობა იყო ისიც, რომ ულიცენზიოდ და ოლიმპიადის მიღმა დარჩა ყველაზე ტიტულოვანი მოქმედი მოჭიდავე ვლადიმერ ხინჩგაშვილი (65), ვინც დაასრულა კიდევ სპორტული კარიერა.

ამის მიუხედავად, ტოკიოში უკეთესი შედეგისა მაინც გვეიმედებოდა - ხარისხობრივადაც და რაოდენობრივადაც. ჭიდაობაში ძალიან ბევრი რაბაა შესაცვლელი და გამოსასწორებელი, პარიზის თამაშებამდე კი მხოლოდ 3 სეხონია დარჩენილი.

სხვა სახეობებიდან მედალს ყველაზე მეტად ფარიკაობა, კრივი და ჩოგბურთი მიუახლოვდა, ფარიკაობა კი, მსაჯების ფაქტორი რომ არა, მედალოსან სახეობათა გეოგრაფიას ნამდვილად გააფართოვებდა - ვეფლისხით სანდრო ბაზაძის ნახევარფინალურ პაექრობას უნგრელთა აწ უკვე სამეზოს ოლიმპიურ ჩემპიონ აარონ ჟილაგისთან, სადაც არბიტრებმა საეჭვო ქულა არ ჩაუთვალეს ქართველ მუშეკერს.

ტოკიოში ნანახიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცოტა მეტი იღბალისა და გამართლების შემთხვევაში არაა გამორიცხული, სროლაში და კარატეშიც (თუმცა ეს სახეობა არ იქნება პარიზში) ავიდეთ კვარცხლბეკზე. აი, ცურვაში, მძლეოსნობასა და ტანვარჯიშში კი ამ თამაშებზე დამამედებელი ვერაფერი დაინახეთ. არადა, ყველაზე მეტი მედალი სწორედ ცურვასა და მძლეოსნობაში თამაშდება და მედლების საერთო ჩათვლაში ბოლო ორ დღეში აშშ-ში ჩინეთს სწორედ მძლეოსნობის ხარჯზე გადაუსწრო. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ სახეობებში არც არასოდეს გამოვიჩინეთ.

სამ წელიწადში პარიზის ოლიმპიადისა და ბუნებრივია ჩვენ უკეთესი შედეგების იმედი გვაქვს, თუმცა დასაფიქრებელიც ბევრია. უკვე კარგა ხანია ლაპარაკია ოლიმპიური თამაშებიდან ჭიდაობის - ბერძნულ-რომაული და თავისუფალის ამოღებაზე. ეს იმიტომ, რომ ამ სახეობების მსოფლიო მესვეურებმა ისეთი ცვლილებები შეიტანეს წესებში, რომ ეს სახეობები საყურებლად ძალზე უინტერესო გახდა, თუმცა ბოლო ხანებში განხორციელდა რამდენიმე ექვეტური ცვლილება და ამჟამად ეს საკითხი თითქოს მოიხსნა დღის წესრიგიდან.

უფრო ცუდი კი ისაა, რომ ახლა უკვე ძალოსნობის ამოღებაზე მიდის ლაპარაკი - აქაც ძალოსნობის მსოფლიო ფედერაციის დესტრუქციული ქმედებები სახელდება.

წარმოვიდგინოთ, ძალოსნობის და ჭიდაობის ამოღების შემთხვევაში რა შედეგები გვექნება ოლიმპიადაზე. განსაკუთრებით ბევრი მედალი თამაშდება სპორტის გუნდურ სახეობებში - ვფიქრობთ, ამ მხრივაც შეიძლება იქნას, მაგალითად, კარგი შედეგები გვაქვს კალაბურთში, 7-კაცა რაგბი ან თუნდაც ფეხბურთიც არაა მთლად უპერსპექტივო.

სამწუხაროა, რომ ამ ოლიმპიადაზე არ გვეყოფილა წარმომადგენელი გარეკახელებს, ანუ ჩვენს რაიონს, არადა ამ მხრივ ტრადიციები გვაქვს.

იმედია პარიზში უფრო გავგიმართლებს!

ის ჩვენი სისხლი და სორცია საბარეჯოელი ვენის ქუჩებში



სოციალური ქსელიდან ერთმა პატარა გოგომ ნაცნობი გვართ შემოვიცინა. დაინტერესდი. მამა – ომარ ნუკრაძე ხომ საბარეჯოელია და შეხედეთ, ეს პატარა გოგონა ავსტრიის ქალაქ ვენის გარემოს დამცველი და მაგალითის მიმცემი აღმოჩნდა. ამ დღეებში დაგუჯავშირდი მის მშობლებს და აი რა გავარკვეეთ.

ცნობისათვის: ღიზის დედა იაღვინიაშვილი პროფესიით ეკონომისტი. ბავშვობიდან ჩართული იყო ხელოვნების სხვადასხვა სფეროში. იყო ეოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლ – „ახალი თაობის“ სოლისტი. უკრავდა ინსტრუმენტებზე, ცეკვავდა. მონაწილეობდა მრავალ კონკურსსა და ფესტივალში, გახდა პრეზიდენტის ლაურეატი, კალიგრაფიის კონკურსის განათლების სამინისტროს რჩეული, „მხიარულთა და საზრიანთა კლუბის“ აქტიური მონაწილე. 2001 წელს ანსამბლ „ივერიის“ სოლისტიც. მანამდე დაამთავრა ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო შვიდწლევანი.

ის 12 წელია ავსტრიაში ცხოვრობს, მღერის ავსტრიულ-ქართულ ფოლკლორულ ანსამბლ „პარალი“-ში, რომელიც უცხოელთა და კომპლექტებული, გალობს და მკალობელთა რეგენტი ვენის დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარში. ჩამოაყალიბა ფოლკლორული ტრიო „იბერია“. გამართეს კონცერტები. ვენის სათვისტომოსთან არსებულ საკვირაო სკოლაში უანგაროდ ასწავლის მუსიკას. ბავშვებს ეხმარება ქართული ენის შესწავლაში. მომავალში ქართველი და ავსტრიელი ბავშვებისათვის ქართული ცეკვებისა და სიმღერების ონლაინ გაკვეთილების შესწავლა აქვს დაგეგმილი, ასევე, მათთვის ქართული და გერმანული ენის ონლაინ შესწავლა. სურვილი აქვს, გააღრმავოს ურთიერთობა საქართველოსა და ავსტრიას შორის და დააფუძნოს „ავსტრიასა და საქართველოს შორის კულტურული ურთიერთობების ხელშეწყობის ორგანიზაცია“, რომელიც თანამშრომლობს ორივე ქვეყნის საგარეო საქმეთა და კულტურის სამინისტროებთან, საელჩოებთან, მედიასთან, არასამთავრობო, საქველმოქმედო და ავსტრიაში არსებულ დიასპორულ ორგანიზაციებთან. დაგეგმილი აქვთ კონფერენციების, გამოფენების, პრეზენტაციების, საქველმოქმედო საღამოების ორგანიზება. იას დაარსებულია ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალიც, რომელიც მიზნად ისახავს ნიჭიერი ადამიანების წარმოჩენას, რეალიზებასა და კულტურულ ინტეგრირებას მსოფლიო მასშტაბით.

ომარ ნუკრაძე (ღიზის მამა) საბარეჯოელია. მას ყველა თაობის ადამიანი იცნობს, შემოქმედი, ხელოვანი, ნიჭიერი ახალგაზრდაა, რომელიც დედასთან – ელზა გრატიაშვილთან და ძმასთან, გოგასთან ერთად ავსტრიაში წლების წინ გაემგზავრა. იამ და ომარმ ერთმანეთი 12 წლის წინ გაიცნეს და 11 წელია ერთ ჯერსეში ცხოვრობენ. ომარი ოთხ ენას ფლობს: გერმანული, რუსული, ინგლისური, ფრანგული. ის თარჯიმანია და ამასთან ერთად თავისუფალ დროს უანგაროდ ეხმარება გაკვირვებულ ადამიანებს, თვითნაკეთი ნივთების შემოქმედს საკმაოდ აქტიური ურთიერთობა აქვს ფირმა „ტიფანისთან“, სადაც მის ხელნაკეთ ნივთებზე დიდი მოთხოვნაა.



– **გთხოვთ გაგვაცნოთ ღიზი, რამდენი წლისაა და რას საქმიანობს?**
– ელიზაბეტ ნუკრაძე, სკოლის მოსწავლე, წელს გადავიდა მე-3 კლასში. არის 8 წლის.
– **როგორ მოხვდა ღიზი რეკლამაში, რომელმაც მთელი ვენა დაიპყრო?**
– ღიზიკო გადაიღეს ვენის გამწვანების ოფიციალურ საიმეჯო კლიპში. არა მხოლოდ ქალაქის ოფიციალურ ვებგვერდზე, არამედ ეურნალ-გაზეთებშიც, სოციალურ ქსელში, განერებებზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე განთავსებულ სარეკლამო აბრებზე, მეტროებში, მთელს ვენაში შეგხვდებით და სოციალურ ქსელებსა და Youtube არხზე იტრიალებს ერთი წლის განმავლობაში. კერძოდ, ეს რეკლამა

დაუკეთა “Stadt Wien”-მა ერთ-ერთ კინოსტუდიას, სადაც ღიზის უკვე ჰქონდა ფილმის გადაღებებში მონაწილეობა მიღებული და ქასთინგის გარეშე პირდაპირ დაამტკიცეს ამ როლზე. გადაღება მიმდინარეობდა ქვეყნის ერთ-ერთ ტყე-პარკში Dehnepark - Silbersee-ზე. რეკლამას ჰქვია “Wiens Wohlfühloase wächst”

რედაქტორი:
თინათინ ილაური


გარეჯის მაცნე

„გარეჯის მაცნე“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“ გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300 რედაქციის მისამართი: ქ. საბარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15, გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორ-პრესში“.

ტელეფონი: 599 851 143

ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com; gareji2011@mail.ru

მილოცვა



ღაბაღების დღეს და მარიაშობის ბრწყინვალე დღესასწაულს ვულოცავთ **საბარეჯოს ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძრის მოძღვარს, დეკანოზს მამა მირიანს** (არდაზიშვილი)

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, ღვთის მფარველობას და მართლმადიდებლობის სადარაჯოზე კვლავაც მისეული სიმტკიცით, ერთგულებითა და სიყვარულით დგომას.

საბარეჯოს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის მრევლი.

სამძივარი

ბაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია თანაგრძობას უცხადებს არჩილ და სალომე ჯაბადრებს დისა და დედის და ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საბარეჯოს უმშვენიერესი და უნიჭიერესი ქალბატონის, საბარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორის, უამრავი გარეჯელი ახალგაზრდის აღმზრდელის



თამარ იოსების ასულ ჯაბადარის

გარდაცვალების გამო. ნათელში ამყოფოს მისი სული უფალმა.

მადლობა

სოფელ მზისგულის მოსახლეობის სახელით მადლობა მინდა გადავუხადო საბარეჯოს მუნიციპალიტეტის სახანძრო-სამაშველო სამსახურის (უფროსი ზაქარია ოტიაშვილი) და სოფელ კატრეთის სახანძრო-სამაშველო განყოფილების თანამშრომლებს სოფლის სასაფლაოზე გაჩენილი ხანძრის დროულად ლოკალიზებისათვის. ამით მათ სასაფლაოსთან ერთად გადაარჩინეს მოსახლეობის კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, ნარგავები.

მიხეილ ოპოლაშვილი,

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელ მზისგულში

დაუკეთა “Stadt Wien”-მა ერთ-ერთ კინოსტუდიას, სადაც ღიზის უკვე ჰქონდა ფილმის გადაღებებში მონაწილეობა მიღებული და ქასთინგის გარეშე პირდაპირ დაამტკიცეს ამ როლზე. გადაღება მიმდინარეობდა ქვეყნის ერთ-ერთ ტყე-პარკში Dehnepark - Silbersee-ზე. რეკლამას ჰქვია “Wiens Wohlfühloase wächst”



– **თავად ღიზი როგორ უფრთხილდება ბუნებას?**

– თავად ღიზი ძალიან წუხდება, როდესაც ხედავს, რომ ბუნებას ანაგვიანებენ. იმდენად სუფთაა ეს ქვეყანა, იმდენად უფლიან, რომ მაშინვე თავში მოგხვდება ქალაქის ერთი ნაგლეჯიც კი ძირს დაგდებული. ამიტომ ღიზიკოსთვის ბუნებრივია გარემოზე ზრუნვა და სისუფთავის დაცვა.

– **ალბათ უყვარს და ენატრება საქართველო...**

– ჯერ საქართველოში არ ყოფილა, მაგრამ იმდენად ბევრი ინფორმაცია აქვს საქართველოს შესახებ და იმდენად ჩანერგილი აქვს ჩვენთან სამშობლოს სიყვარული, რომ სხვანაირად ვერც წარმოვიდგენია. სრუ-

ლყოფილად ფლობს ქართულ ენას, ქართულ ანბანს, წერს, კითხულობს... მღერის ქართულ სიმღერებს, აკვავს ქართველი მეგობრები და ხშირად იღებს მონაწილეობას ქართულ ღონისძიებებში.

– **ემოციები, როცა ღიზიმ საკუთარი თავი ნახა მედიაში, ქუჩაში?**

– პირველად ღიზიკოს ფოტო შემთხვევით ვენის ყოველდღიურ გაზეთში რომ ენახეთ, ღიზიკოს სისარულს სახლვარი არ ჰქონდა. შემდეგ უკვე სხვა ცნობილ გაზეთებშიც დაიბეჭდა, ტრამაჟისა და მეტროს ვაგონებში დაკიდულ ეურნალებში... საზოგადოებრივ ტრანსპორტზე განთავსებული სარეკლამო აბრა რომ გამოჩნდა ღიზიკოს ფოტოთი და ქუჩის ბანერებზე ვენის მასშტაბით, ამან კიდევ უფრო აღგავრთოვანა. ეხლა უკვე მეგობრები გვიგზავნიან ქუჩაში, განერებებზე გადაღებულ ფოტოებს მეტროში განთავსებულ ეკრანებზე ხშირად ვუყურებთ ამ რეკლამას და სხვა და სხვა ინტერნეტ საიტებზეც გვხვდება, რაც დიდ ემოციას იწვევს ჩვენში.

– **წარმატებები ვენაში მცხოვრებ პატარა ღიზის!**